შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი №5.მაისი, 2012.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღე

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს მიეძღვნა სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრის, ბიბლიოთეკის, ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის მიერ ორგანიზებული სტუდენტთა კონფერენციები. ორი დღის განმავლობაში ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხვადასხვა სპეციალობის სტუდენტები ქვეყნის სახელმწიფოებრიობისა და ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის მნიშვნელობაზე მსჯელობდნენ. ახალგაზრდებმა 1918-1990 წლებში განვითარებულ ისტორიულ მოვლენებზე ისაუბრეს, ეროვნული გმირები გაიხსენეს და პატივი მიაგეს მათ ხსოვნას.



„ჩვენი მიზანია აღვადგინოთ საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაცია, რომელიც კიდევ უფრო მიზანმიმართულს გახდის სტუდენტთა სპორტის განვითარებას ჩვენს რეგიონში“.

→ გვ.3

თქვენს მხარდაჭერას ელიან

→ გვ.5

საქართველოს პრეზიდენტი უნივერსიტეტის სტუდენტებს შეხვდა

საქართველოს პრეზიდენტი შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარჩინებულ სტუდენტებს შეხვდა. მიხეილ სააკაშვილმა სტუდენტებთან რამდენიმე ახალი ინიციატივა გააჟღერა. ქვეყნის პირველი პირი ახალგაზრდებს დაგეგმილი და მიმდინარე პროექტების შესახებ ესაუბრა. სტუდენტებს ის ინიციატივებიც გააცნო, რომლებიც უკეთესად სწავლის მეტ შესაძლებლობას და სტიმულს მისცემთ.

პრეზიდენტმა ისაუბრა სტუდენტურ ბარათზე, რომლის შესახებაც განათლების სამინისტრო უკვე მუშაობს და მალე სტუდენტები მგზავრობისას და საბანკო მომსახურების დროს შეღავათებით ისარგებლებენ. გარდა ამისა, პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ მალე სტუდენტებისთვის დაზღვევის სპეციალური პაკეტები შემუშავდება.

მიხეილ სააკაშვილმა ზაფხულში სტუდენტური დასაქმების პროგრამის მნიშვნელობაზე ისაუბრა. მისივე თქმით, სტუდენტებს სწავლისთვის დამატებითი სტიმული უნდა მიეცეთ. განხორციელდება სახელმწიფო გრანტის გაუმჯობესების პროგრამაც. პრეზიდენტმა სტუდენტებს ინფრასტრუქტურული და საგანმანათლებლო პროექტებიც წარუდგინა, რომლებიც ხორციელდება როგორც ბათუმში, ისე მთელ ქვეყანაში.

პრეზიდენტმა სტუდენტებთან შეხვედრისას ბათუმის საუნივერსიტეტო ქალაქად გადაქცევაზე გაამახვილა ყურადღება და ქალაქში ტექნოლოგიური უნივერსიტეტის მშენებლობაზე ისაუბრა.

სერგო დუმბაძე — 75

75 წლის მეცნიერ-მკვლევარი ჩვეული მხნეობითა და ენერგიით განაგრძობს ნაყოფიერ მეცნიერულ-კვლევით და პედაგოგიურ მოღვაწეობას. სერგო დუმბაძეს ვუსურვებთ კიდევ მრავალ წელს ჯანმრთელ სიცოცხლესა და წარმატებებს.

→ გვ.6

შოთა მამულაძე - 60

ჩვენი ქვეყნის ისტორიისა და კულტურის მკვლევარს, პედაგოგსა და შესანიშნავ მოქალაქეს პროფესორ შოთა მამულაძეს გულითადად ვულოცავთ სახელოვან იუბილეს. ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლესა და მორიგ შემოქმედებით წარმატებებს ვუსურვებთ.

→ გვ.7

რექტორის არჩევნები

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში რექტორის არჩევნები ჩატარდა. აკადემიური საბჭოს ყველა წევრმა პროფესორ ალიოშა ბაკურიძეს ერთხმად დაუჭირა მხარი და მეორე ვადით აირჩია. კენჭისყრის დაწყებამდე რექტორობის კანდიდატმა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საკანონმდებლო ორგანოს წევრებს სამოქმედო გეგმა გააცნო და უნივერსიტეტის განვითარების პერსპექტივებზე ესაუბრა. უნივერსიტეტში დაინერგება ინტეგრირებული სწავლება, ელექტრონული საგანმანათლებლო პროგრამები და ინგლისურენოვანი სასწავლო კურსები. შეიქმნება საერთაშორისო მასშტაბის სამეცნიერო ჟურნალი, გაიზრდება გაცვლითი პროგრამების რაოდენობა. ასევე ჩამოყალიბდება სასწავლო პროცესისა და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ეფექტური მართვის სისტემა.

იუბილეს ექო

იმედი მეტია, ვიდრე რეალობა

„იმედი ის მადლია, რაც ძალას აძლევს
ადამიანს მიწიერი ყოფის
განსაცდელთა
დასაძლევად და ღმერთამდე
ასამაღლებლად“.

ილია II

→ გვ.8

უნივერსიტეტში „შავშური ჩანაწერების“ პრეზენტაცია გაიმართა

განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოლოგიის დეპარტამენტის სრული პროფესორის მამია ფაღავას წიგნის „შავშური ჩანაწერების“ პრეზენტაცია შედგა. ნაშრომში აღწერილია თურქეთის საქართველოში განხორციელებული საველე ექსპედიციების შთაბეჭდილებები, აქ არსებული მატერიალური კულტურის ძეგლები და მათი მდგომარეობა. ავტორი წიგნში ასევე მოგვითხრობს ექსპედიციის წევრებსა და ჭოროხის ხეობის მკვიდრ ქართველებზე. პროფესორი მამია ფაღავა წლების განმავლობაში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, ისტორიულ ტაო-კლარჯეთს იკვლევს. 1995 წლიდან დღემდე იყო ორგანიზატორი და ხელმძღვანელი შავშეთში, კლარჯეთში, ტაოში, სპერში და ღაზეთში წარმოებული სამეცნიერო ექსპედიციებისა.

სტუდენტური თვითმართველობის თავმჯდომარე სტუდენტებს შეხვდა

სტუდენტური თვითმართველობის ახლადარჩეული თავმჯდომარე უჩა აბრამიშვილი და გამგეობის წევრები განათლებისა და მეცნიერებათა, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის, აგრარული ტექნოლოგიებისა და ეკოლოგიის, საინჟინრო-ტექნოლოგიური და ტურიზმის ფაკულტეტის სტუდენტებს შეხვდნენ. ახალგაზრდებმა თანატოლებს სტუდენტური გაერთიანების პრიორიტეტები, სამოქმედო გეგმა და სხვადასხვა სახის პროგრამები გააცნეს. კითხვა-პასუხის რეჟიმში წარმართულ შეხვედრებზე სტუდენტებმა ერთობლივი პროექტები შეიმუშავეს და საგანმანათლებლო, სამეცნიერო, კულტურული, სპორტული ღონისძიებები დაგეგმეს.

მემორანდუმი საქართველოს მათემატიკოსთა კავშირთან

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ალიოშა ბაკურიძემ და საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის პრეზიდენტმა, პროფესორმა როლანდ დუდუჩავამ თანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერეს ხელი. ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამები და სამეცნიერო პროექტები, მომზადდება და გამოიცემა ერთობლივი სახელმძღვანელოები. მხარეთა შეთანხმებით, დაიგეგმა სამეცნიერო კვლევების, კონფერენციების, სიმპოზიუმების, სემინარებისა და საჯარო ლექციების ჩატარება.

„მედიაცია - ახალი მიმართულება დავების ალტერნატიულ გადაწყვეტაში“

სტუდენტებისათვის, პროფესორ-მასწავლებლებისათვის, მოქმედი მოსამართლე-ებისა და ადვოკატებისათვის შოთა რუსთაველის დარბაზში სემინარი გაიმართა თემაზე: „მედიაცია - ახალი მიმართულება დავების ალტერნატიულ გადაწყვეტაში“. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავების ალტერნატიული გადაწყვეტის ფორმების ეროვნული ცენტრისა და აჭარის სავაჭრო-სამრეწველო პალატის მედიაციის ცენტრის წარმომადგენლებმა საჯარო ლექცია წაიკითხეს. ისაუბრეს დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმების გამოყენებაზე, პროცესში პრაქტიკოსი იურისტების მოზიდვასა და უმაღლეს სასწავლებლებში შესაბამისი სასწავლო კურსების დანერგვაზე. სემინარის ფარგლებში 2012 წლის სამოქმედო გეგმისა და გიორგი ცერცვაძის წიგნის „Brief Commentary to the Georgian Arbitration Law 2009” წარდგინება შედგა.

სემინარი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავების ალტერნატიული გადაწყვეტის ფორმების ეროვნული ცენტრის, აჭარის არ სავაჭრო-სამრეწველო პალატისა და აჭარის არ სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო არბიტრაჟის ორგანიზებით ჩატარდა.

შეხვედრა ხარკოვის ნაციონალური ფარმაცევტული უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან

ხარკოვის (უკრაინა) ნაციონალური ფარმაცევტული უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ვალენტინ ჩერნიხი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ ალიოშა ბაკურიძეს შეხვდა. შეთანხმებისამებრ, ხელი მოეწერება თანამშრომლობის მემორანდუმს, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა გაცვლითი პროგრამებისა და სამეცნიერო პროექტების განხორციელებას. ყოველწლიურად ფარმაციის, საინჟინრო, ეკონომიკური და ბიოტექნოლოგიების მიმართულების 10 სტუდენტი ხარკოვის ნაციონალურ ფარმაცევტულ უნივერსიტეტში ერთწლიან სასწავლო კურს გაივლის.

ლიტვის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ვიზიტი

ლიტვის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ანდრიუს კუბილიუსი დელეგაციის წევრებთან და საქართველოს ვიცეპრემიერ გია ბარამიძესთან ერთად, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს ეწვია. სტუმარმა სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისათვის საჯარო ლექცია წაიკითხა თემაზე: ევროპა კრიზისის შემდეგ: გაკვეთილები ნასწავლი და გაკვეთილები უგულებელყოფილი . ისაუბრა 2010 წლის მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისზე, მის გამომწვევ მიზეზებზე, ისტორიაზე, თანმდევ პროცესებსა და თანამედროვე გამომწვევებზე. ყურადღება გაამახვილა ასევე ლიტვის, საქართველოსა და ევროპის სხვადასხვა ქვეყნის განვითარების დინამიკაზე. უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ალიოშა ბაკურიძემ ლიტვის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს სამახსოვრო საჩუქარი გადასცა.

საერთაშორისო ტურისტული გამოფენა „ექსპო ბათუმი - 2012“

ბათუმში გამართულ საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში „ექსპო ბათუმი - 2012“ შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის ფაკულტეტი და ტურისტული სააგენტო **UNItour**-ი მონაწილეობდა. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სასწავლო-საგანმანათლებლო პროგრამებთან ერთად ფაკულტეტმა დამთვალიერებლებს ტურისტული პროდუქტები გააცნო. „ექსპო ბათუმი - 2012“-ზე 8 ქვეყნის 150-მდე კომპანია იყო წარმოდგენილი. გამოფენაზე უკრაინის, ლატვიის, პოლონეთის, აზერბაიჯანის და თურქეთის საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და ტურისტული ორგანიზაციების წარმომადგენლებთან შეხვედრისას ტურიზმის ფაკულტეტსა და ტურისტულ სააგენტო UNItour-თან თანამშრომლობა დაიგეგმა.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ტურიზმის ფაკულტეტის შემდეგი სასწავლო პროგრამები და ტურისტული პროდუქტები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - სასტუმრო საქმისწარმოება - 10 თვე (V საფეხური, 1 ეროვნული გამოცდა);

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - ტურიზმი - 4 წ.

ტურისტული პროდუქტები:

- მოგზაურობა ისტორიულ ტაო-კლარჯეთში;
- მოგზაურობა ისტორიულ ტრაპიზონში;
- მოგზაურობა კაპადოკიაში;
- ქრისტიანული გზა საქართველომდე (თურქეთი, სირია, იორდანია, ეგვიპტე);
- ხიხანის ციხისა და სხალთის ეკლესიის მონახულება;
- პირველი ქრისტიანული გზა საქართველოში (გონიო-დიდაჭარა);
- ინდივიდუალური ტურები.

ეროვნული უსაფრთხოების თანამედროვე გამოწვევები და ტენდენციები

სტუდენტური თვითმართველობისა და სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ორგანიზებით ბათუმის რეგიონალური სამეცნიერო კონფერენცია ეროვნული უსაფრთხოების თანამედროვე გამოწვევები და ტენდენციები ჩატარდა. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლების, სტუდენტების და ინფორმაციული უსაფრთხოების კვლევებისა და ანალიზის ცენტრის წარმომადგენლებმა მოხსენებები სახელმწიფო ეროვნული უსაფრთხოების საკითხებზე წარმოადგინეს. კონფერენციაზე ისეთი მნიშვნელოვანი თემები განიხილეს, როგორიცაა: უსაფრთხოება და თანამედროვე გამოწვევები, ეროვნული უსაფრთხოება, კიბერუსაფრთხოება ეროვნულ უსაფრთხოებასთან მიმართებაში და ყოველდღიურ ცხოვრებაში. სამეცნიერო სესიის ფარგლებში მრგვალი მაგიდა მოეწყობა.

პოეტ ფრიდონ ხალვაშის გახსენება

ცნობილი ქართველი პოეტი, საზოგადო მოღვაწე, რუსთაველის პრემიის ლაურეატი ფრიდონ ხალვაში ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა და პროფესორ-მასწავლებლებმა გაიხსენეს. ბათუმის ღვთისმშობლის შობის სახელობის საკათედრო ტაძრის ეზოში მწერლის საფლავთან შეკრებილებმა მის ცხოვრებაზე, შემოქმედებაზე ისაუბრეს და ლექსები წაიკითხეს. პატივი მიაგეს ღვაწლმოსილი პოეტის ხსოვნას და განსასვენებელი ყვავილებით შეამკეს. 17 მაისს ფრიდონ ხალვაში 87 წლის გახდებოდა.

ხხვა გამეთებიდან

მადლობა გულისხმიერებისათვის

ამასწინათ რიყეთის სამარშრუტო მიკროავტობუსს ავარია მოუვიდა, სადაც ჩემი ორი სტუდენტი ქალიშვილი მოყვა, სამწუხაროდ, ნათია დაიღუპა, მადონას კი ჯერ ხულოს რაიონულ კლინიკაში გაუწიეს დახმარება, შემდეგ ყველა დაზარალებულთან ერთად ხელვაჩაურის კლინიკა „მედინაში“ მოათავსეს.

ამ დროს მადონას სასესიო გამოცდები ჰქონდა. შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის, პედაგოგიკის დეპარტამენტის ასისტენტ პროფესორი, დაწყებითი განათლების სპეციალობის მესამე კურსის კურატორი დარეჯან გელაძე, კლინიკა „მედინაში“ დადიოდა და მადონას დაატარებდა გამოცდების ჩასაბარებლად, რომ შემდგომში პრობლემები არ შექმნოდა, ისედაც დაზარალებულ სტუდენტ გოგოს.

მადონას მშობლები, სოფელი და სკოლა დიდ მადლობას ვუხდით დარეჯან გელაძეს, მისგან გამოჩენილი დიდი გულისხმიერებისა და დიდსულოვნებისათვის, კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ უნივერსიტეტი განათლებისა და კულტურის კერაა, რომ სწავლა ადამიანს აკეთილშობილებს, ალამაზებს და ადიდებს, ეს ქალბატონ დარჯან გელაძემ დაგვანახა ყველას.

მადლობა მადონას მშობლიურ უნივერისიტეტს და მის ლექტორს ასისტენტ პროფესორ დარეჯან გელაძეს.

ედნარ კოჩალიძე

ხულოს რაიონის რიყეთის
საჯარო სკოლის ქართული ენის
მასწავლებელი

(გაზეთი „ხულო“, №6, 16-31
მარტი, 2012 წელი).

ახალი წარმატებების მოლოდინში

გაზეთ „ბათუმის უნივერსიტეტის“ სტუმარია აჭარის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის სპორტის განყოფილების უფროსი ლაშა კილაბერია. იგი აღნიშნულ თანამდებობაზე 2010 წლის 5 იანვრიდან მუშაობს. ბატონი ლაშა აჭარის სპორტულ ცხოვრებას აფასებს.

— მინდა გითხრათ, რომ სპორტი საქართველოში უმნიშვნელოვანეს ეროვნულ საქმედაა მიჩნეული. პრესტიჟულ სპორ-

ტულ შეჯიბრებებში გამარჯვება — ეროვნული ღირსების გამოხატულებაა. მსოფლიო გლობალიზაციის პირობებში სპორტი წარმოადგენს ეფექტურ საშუალებას მოსახლეობის განმტკიცების, თითეული მოქალაქის სრულფასოვან პიროვნებად ჩამოყალიბების, პატრიოტული გრძნობების გაძლიერების, ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტის გაზრდის თვალსაზრისით.

— თქვენ აჭარის ახალგაზრდობისა და სპორტის დეპარტამენტში სპორტული განყოფილების უფროსი ხართ. როგორ შეაფასებდით სპორტულ ცხოვრებას ჩვენს რეგიონში?

— ვფიქრობ, წელს წარმატებული სპორტული სეზონი გვაქვს. ჩვენი რეგიონის სპორტსმენები წარმატებით მონაწილეობენ სხვადასხვა პრესტიჟულ შეჯიბრებებში. მოპოვებული გვაქვს ლონდონის XXX საიუბილეო ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის 6 ლიცენზია. სხვათა შორის, ერთით მეტი, ვიდრე 2000 წელს სიდნეიში (5 ლიცენზია). ეს კი უდავოდ დიდი წარმატებაა. აჭარაში ტრადიციულად ტარდება მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატები. საქართველოში პირველად ჩვენ დავიწყეთ ჭიდაობის სახეობების მწვრთნელთა და მსაჯთა სერთიფიცირება, რომელშიც აჭარაში მოქმედი ყველა მუნიციპალიტეტის მწვრთნელი მონაწილეობდა. ჩვენ შევძელით შეგვეძინა წლის საუკეთესო სპორტსმენებისა და მწვრთნელებისთვის სპორტული ფორმების კომპლექტი. ეს პროგრამები მომავალშიც გაგრძელდება.

წელს ვიწყებთ ქობულეთის ცენტრალური სტადიონის რეაბილიტაციას და თამარის დასახლებაში საჩოგბურთო კორტების კეთილმოწყობას. ასე რომ, ჩვენს რესპუბლიკაში სპორტული ცხოვრება წარმატებით მიმდინარეობს.

— რას იტყვით სხვადასხვა ფედერაციებზე და როგორ შეაფასებთ მათ მუშაობას?

— ,,სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სპორტული ფედერაცია არის საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც ჩვენთან თანამშრომლობს ხელშეკრულების საფუძველზე. რაც შეეხება, მათ მუშაობას, ნამდვილად დადებითად შევაფასებდი. თუმცა ისინი ფინანსურად მთლიანად ბიუჯეტზე არიან დამოკიდებულნი. ამიტომ ჩვენ გადავწყვიტეთ, მათივე ხელშეწყობის მიზნით, თამარის დასახლებაში საჩოგბურთო კორტების რეაბილიტაციის შემდეგ, ისინი ერთად განვათავსოთ.

როგორც კი ლონდონის ოლიმპიური თამაშები დასრულდება, აჭარაში მოქმედი ფედერაციების ხელახალი არჩევნები ჩატარდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დამთავრდა ოლიმპიური ციკლი და ფედერაციები ვალდებულნი არიან დეპარტამენტში წარმოადგინონ მათ მიერ ჩატარებული მუშაობის ანგარიში, რის შემდეგაც დაიწყება მეორე ოთხწლიანი ოლიმპიური ციკლისთვის მზადება.

— ახალ პროექტებზე ხომ არ მუშაობთ?

— ჩვენ შევიმუშავეთ რამდენიმე ძალიან საინტერესო პროექტი. მათგან მინდა გამოვყო საპენსიო ასაკის, ღვაწლმოსილი სპორტის მოღვაწეების, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონების, ოლიმპიური თამაშების გამარჯვებულების და პრიზიორებისთვის ყოველთვიური სტიპენდიების პროგრამა, პრიორიტეტული სახეობების ნაკრების მთავარ მწვრთნელთა ხელფასები, სპორტული ინვენტარის შეძენისა და მოქმედი სპორტსმენების დაზღვევის პროგრამები. ჩვენ მომავალშიც გავაგრძელებთ მიზნობრივ პროგრამებზე მუშაობას.

— როგორია თქვენი სამსახურის თანამშრომლობა უნივერსიტეტის იმ სტუდენტებთან, რომლებიც სპორტის ამა თუ იმ სახეობით არიან დაინტერესებულნი?

— ჩვენ აქტიურად ვმუშაობთ სტუდენტთა სპორტის განვითარების პროგრამაზე. აქვე მინდა მინდა გავიხსენო, რომ 1998 წლის 22 დეკემბერს ბათუმში დაარსდა აჭარის საუნივერსიტეტო

სპორტის ფედერაცია, რომელმაც აქტიურად დაიწყო სტუდენთა სპორტის განვითარება. 1999 წელს ბათუმის სტუდენტთა ნაკრებმა საქართველოს უნივერსიადაზე ვერცხლის მედალი მოიპოვა. წარმატებით ასპარეზობდნენ ცალკეული სტუდენტი სპორტსმენები სხვადასხვა საერთაშორისო შეჯიბრებებში. 1999 წელს მსოფლიო ჩემპიონი გახდა სტუდენთა შორის ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე გენად ჩხაიძე, 2000 წელს მშვილდოსანი ხათუნა ნარიმანიძე მადრიდში სტუდენთა სპორტული თამაშების ვერცხლის მედლის მფლობელი გახდა. ასევე წარმატებით მონაწილეობდნენ მუხრან ვახტანგაძე, გოდერძი დავითაძე და სხვები.

ჩვენი მიზანია აღვადგინოთ საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაცია, რომელიც კიდევ უფრო მიზანმიმართულს გახდის სტუდენტთა სპორტის განვითარებას ჩვენს რეგიონში.

— რას იტყვით ბოლო დროს განხორციელებული მნიშვნელოვანი ღონისძიებების შესახებ?

— ბოლო ათი წელია მნიშვნელოვანი სპორტული შეჯიბრებების გარემოცვაშია ჩვენი ქალაქი.

სამი წელი ტარდება ევროპის ჩემპიონატი ჭადრაკში 8 წლამდე ასაკის მოჭადრაკეთა შორის, 2006 და 2010 წლებში გაიმართა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატები, რომელშიც მონაწილეობდნენ 8-18 წლამდე ასაკის მოჭადრაკეები, 2008 წელს ბათუმში პირველად ჩატარდა ევროპის თასის ფინალური ეტაპი ახალგაზრდებს შორის მშვილდოსნობაში, სადაც ევროპის გუნდური რეკორდი დამყარდა. 2011 წელს პირველად გაიმართა მსოფლიო ჩემპიონატი ჭიდაობა ქვიშაზე.

წელს პირველად ტარდება მსოფლიო ჩემპიონატი რაპიდში, რომელშიც მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონები მიიღებს მონაწილეობას და რაც მთავარია, ივლისში საქართველოში პირველად ბათუმში გაიმართება ევროპის ფინალური ეტაპი პლაჟის ხელბურთში ახალგაზრდებს შორის. სპორტის დეპარტამენტის მიზანიც ესაა, რაც შეიძლება მეტი ტურისტი, უცხოელი სპორტსმენები, უცხოელი სტუმარი და ჟურნალისტები მოვიზიდოთ ჩვენს რესპუბლიკაში. ეს კიდევ უფრო შეუწყობს ხელს საქართველოში სპორტის განვითარებას, კულტურულ და სულიერ ფასეულობათა ამაღლებას.

ქართველი მეცნიერის საერთაშორისო აღიარება

პროფესორი ვლადიმერ ბალაძე ფართოდ ცნობილი მეცნიერია ქართველ მათემატიკოსთა შორის. მისი შრომები ხშირად იბეჭდება ქართულ და საერთაშორისო სამეცნიერო კრებულებში. პროფ. ვლადიმერ ბალაძეს ჰყავს მკითხველი და დამფასებელი, როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში.

2012 წლის დასაწყისში ამერიკის შეერთებული შტატებიდან ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის



Mathematical Reviews
A division of the American Mathematical Society

416 Fourth Street, P.O. Box 8604
Ann Arbor, MI 48107-8604 USA
Telephone: 734-996-5250
FAX: 734-996-2916
www.ams.org/mr-database/

Graeme Fairweather
Executive Editor

Telephone: 734-996-5257
e-mail: gxf@ams.org

January 11, 2012

Professor V. Baladze
Department of Mathematics
"S. Rustaveli" Batumi State University
35, Ninoshvili st.
Batumi 6010
GEORGIA

Dear Professor Baladze:

I am writing to invite you to become a reviewer for Mathematical Reviews (MR).

As you probably know, the MR database covers the world research literature in mathematics by means of reviews written by experts. For over 65 years, MR has been assisted in its mission by mathematical scientists throughout the world who have thoughtfully provided perspective on the published literature. The collective work of these reviewers represents a permanent contribution to the community and plays a vital role in ongoing developments in mathematical science. The literature is growing rapidly and we need additional reviewers to keep up with this growth, speed up the reviewing process, and improve the quality of the reviews by having specialists in all fields.

We know from your published work that your qualifications and research interests are very much the kind we need. We would be very pleased to be able to call on you to review for us.

If you are interested and have the time for reviewing, please send us the requested information (see attached form), either by e-mail to mathrev@ams.org or by printing the completed form and returning it to us. This information will allow our editors to assign you appropriate items to review. For information about serving as a reviewer, see the Guide for Reviewers at http://www.ams.org/mr-database .

It is our hope that you will choose to join us in this important enterprise. I look forward to hearing from you.

Yours sincerely,

Graeme Fairweather
Executive Editor

GXF:mat

სრული პროფესორის ვლადიმერ ბალაძის სახელზე მოვიდა წერილი, რომლითაც ქართველ მეცნიერს სთხოვენ თანხმობას, იყოს საერთაშორისო მათემატიკური მიმოხილვის (MR) რეცენზენტი.

„მათემატიკური მიმოხილვის“ (MR) 65 წელზე მეტია აქვეყნებს რეცენზიებს მსოფლიოში ცნობილ მეცნიერ მათემატიკოსთა შრომებზე და ფეხდაფეხ მიჰყვება მათემატიკური აზროვნების განვითარების მსოფლიო პროცესს. „მათემატიკური მიმოხილვის“ (MR) რედაქცია წერს: „ძვირფასო პროფესორო ბალაძე თქვენს მიერ გამოქვეყნებული ნაშრომიდან ვიცით, რომ თქვენი კვალიფიკაცია და კვლევის ინტერესები სწორედ ისეთია, რაც გვჭირდება.

პროფესორი ვ. ბალაძე პროფესორ ი. რეილთან და პროფესორ ვ. მილთან ერთად.

მოხარული ვიქნებით, თუ თქვენი სახით შევძლებთ შევიძინოთ რეცენზენტი“.

ეს მეცნიერის საერთაშორისო აღიარებაა. სიამაყით აღვნიშნავთ, რომ ჩვენი მეცნიერის აღიარება ამ დონეზე ჩვენი უნივერსიტეტის ისტორიის ერთ-ერთი საუკეთესო ფაქტია. ვუსურვოთ პროფესორ ლადო ბალაძეს ჯანმრთელი სიცოცხლე და ახალი წარმატებები მეცნიერებაში.

პროფესორი

გიორგი (იური) გიბილეიშვილი

პოეტ ზურაბ გორგილაძის „პოეზიის საათი“

ბათუმის ღვთისმშობლის შობის სახელობის საკათედრო ტაძრის ეზოში ზურაბ გორგილაძის 75 წლის იუბილესადმი მიძღვნილი „პოეზიის საათი“ გაიმართა. განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის დაწყებითი განათლების სპეციალობის სტუდენტებმა პოეტის ლექსები წაიკითხეს და პატივი მიაგეს მის ხსოვნას. პროფესორ-მასწავლებლებმა, მწერლებმა, ოჯახის წევრებმა და საზოგადოების წარმომადგენლებმა კიდევ ერთელ გაიხსენეს შემოქმედის ცხოვრება და მოღვაწეობა. „პოეზიის საათი“ ზურაბ გორგილაძის განსასვენებელთან ყოველ წელს პედაგოგიკის მეცნიერებათა დეპარტამენტის ორგანიზებითა და პროფესორ იური ბიბილეიშვილის ინიციატივით ტარდება.

სოციალური ქსელები სტუდენტების ცხოვრებაში

დღევანდელობის განუყოფელი ნაწილი ინტერნეტია. სოციალურ ქსელებს ყოველდღიურად მილიონობით ადამიანი იყენებს როგორც ინფორმაციის მოსაპოვებლად, ასევე მეგობრებთან ურთიერთობისათვის ან ახალი მეგობრების შესაძენად. ასეა თუ ისე, XX საუკუნე ინტერნეტის გარეშე წარმოუდგენელია, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებისათვის.

იმისათვის, რომ გამეგო, თუ რა დამოკიდებულება აქვთ ახალგაზრდებს სოციალურ ქსელებთან, ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტებს მივმართე.

100-მდე რესპონდენტს შემდეგი კითხვა დავუსვი — „სარგებლობენ თუ არა ყოველდღე სოციალური ქსელით“? ყველასგან დადებითი პასუხი მივიღე, გარდა ერთისა, რომელმაც მითხრა, რომ უარს აცხადებს „ეშმაკის ტექნოლოგიებზე“ და საჭირო ინფორმაციას წიგნებიდან იღებს.

რესპონდენტებს ასევე ვკითხე, თუ რა მიზნით იყენებდნენ ინტერნეტს. პასუხებიდან გამოიკვეთა 3 ტიპის მომხმარებელი: I. მხოლოდ ინფორმაციის მისაღებად; II. მხოლოდ გასართობად; III. ინტერნეტის მეშვეობით ერთობიან და ამავდროულად სხვადასხვა ინფორმაციასაც იღებენ.

მიუხედავად იმისა, რომ მომხმარებელთა თითქმის 40% ამბობს, რომ მხოლოდ ინფორმაციის მოსაპოვებლად სარგებლობს ინტერნეტით, მათი საკმაოდ დიდი ნაწილი თავისუფალ დროს მეგობრებთან ურთიერთობას სიამოვნებით უთმობს.

ბევრი რესპონდენტი სოციალური ქსელების დანიშნულებას ძველი ნაცნობების პოვნასა და ახლების შეძენაში ან სულაც საპირისპირო სქესის წარმომადგენლების გაცნობაში ხედავს.

შემხვდნენ ისეთი რესპონდენტებიც, რომლებიც დიდ უპირატესობას ანიჭებენ ონლაინ თამაშებს. ერთ-ერთი ასეთია პირველკურსელი ლაშა, რომელიც ინტერნეტზე დამოკიდებულია და ვერ წარმოუდგენია საკუთარი თავი მსგავსი თამაშების გარეშე.

საინტერესო მონაცემები გამოიკვეთა საიტებთან დაკავშირებითაც. ისინი, ვინც მხოლოდ ინფორმაციის მოსაპოვებლად იყენებენ ინტერნეტს, ყველაზე ხშირად ასახელებენ google.com-ს, Wikipedia.com-სა და interes.ge-ს, ხოლო მეორე ნაწილი რესპონდენტებისა, რომლებიც სოციალური ქსელებით ხშირად სარგებლობენ, უპირატესობას ანიჭებენ facebook.com-ს, odnoklassniki.ru–ს, youtube.com–ს და myvideo.ge-ს. სტატიის მეტი სიცხადისათვის, რამდენიმე სტუდენტის პირად დამოკიდებულებასაც შემოგთავაზებთ:

ირინა ჭაღალიძე, მენეჯმენტის სპეციალობის მე-2 კურსის სტუდენტი ამბობს, რომ ინტერნეტს ძირითადად გასართობად იყენებს:

„სოციალურ ქსელებით საკმაოდ ხშირად, თითქმის ყოველდღე ვსარგებლობ. სამწუხაროდ, უფრო მეტად გასართობად, რადგან ჩემი სპეციალობის შესახებ ინფორმაციას ძირითადად წიგნებიდან ვღებულობ. ყველაზე ხშირად facebook-ში ვარ. გართობასთან ერთად, საინტერესო ბლოგებსაც ვათვალიერებ ხოლმე. ჩემი ინტერნეტში ყოფნის ხანგრძლივობა იმაზეა დამოკიდებული, რამდენად საინტერესო მასალას გადავაწყდები“.

ნინო, ქართული ფილოლოგიის სპეციალობის მე-2 კურსის სტუდენტი: „ინტერნეტით ძალიან ხშირად, თითქმის ყოველდღე ვსარგებლობ, საშუალოდ — 2-3 საათის განმავლობაში. ძირითადად გასართობად და ზოგჯერ ინფორმაციის მოსაპოვებლად ვიყენებ. მასზე ძალიან ვარ დამოკიდებული. ყველაზე ხშირად facebook-ითა და google-ით ვსარგებლობ.

შორენა ბიოლოგიის სპეციალობის III კურსზე სწავლობს. ინტერნეტით ისიც ხშირად სარგებლობს. უპირატესობას ანიჭებს Wikipedia.com-სა და google.ge-ს.

ბექა ვაშაყმაძე, რომელიც სამართალმცოდნეობის I კურსის სტუდენტია, გოგონებისგან განსხვავებით, სოციალური ქსელებით ხშირად არ სარგებლობს. მისივე თქმით, აღნიშნულ საიტებს იშვიათად და ისიც სათამაშოდ სტუმრობს.

რატი ფუტკარაძე, მენეჯმენტის სპეციალობის პირველი კურსის სტუდენტი: „ინტერნეტი თანამედროვე ცხოვრების ნაწილია და ხშირად ინფორმაციის მოსაპოვებლად ვიყენებ. ძირითადად სპეციალობასთან დაკავშირებული საიტებით ვსარგებლობ, მაგ: presa.ge, interes.g, ხოლო დასვენების დღეებში გასართობადაც ვიყენებ“.

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი ირაკლი კი მხ-

ოლოდ ucnauri.com-ის მომხმარებელია. ამბობს, რომ ინტერნეტის აქტიური სტუმარი არ არის, სოციალურ ქსელებზე დამოკიდებულება კი ზედმეტობად მიაჩნია.

როცა სტუდენტებს ვეკითხებოდი, რამდენად მნიშვნელოვანი იყო სოციალური ქსელები მათ ცხოვრებაში, დაახლოებით 80%-მა უარყო მასზე დამოკიდებულება, თუმცა მეორე მხრივ აცხადებდნენ, რომ ინტერნეტის გარეშე ვერ ახარხებენ პრეზენტაციის მომზადებას და ვერც ნაცნობებთან დაკავშირებას. გამოკითხულთა ნაწილმა შეუსაბამო პასუხები მოგვცა კითხვაზე: რა შეიძლება მოხდეს ინტერნეტის უქონლობის შემთხვევაში.

რას ფიქროგენ ფსიქოლოგები?

ინტერნეტდამოკიდებულებასთან დაკავშირებით ცოტა ხნის წინ ფსიქოლოგიის სპეციალობის მესამე კურსის სტუდენტმა, ნინო აბაშიძემ საკონფერენციო ნაშრომი წარადგინა, სადაც მოყვანილი ჰქონდა ფსიქოლოგ სოფო ვერულაშვილის შეფასება ინტერნეტდამოკიდებულებასთან დაკავშირებით: „ეს არის რეალური ურთიერთობების დეფიციტი, ახალგაზრდებში არსებული კომპლექსების არსებობა. დღეს-დღეობით ყველა ადამიანს აქვს ურთიერთობის მოთხოვნილება. ...როდესაც ურთიერთობა რეალურად ჯანსაღად ხორციელდება, ადამიანებთან უშუალო ურთიერთობით იზრდება ადამიანი, იღებს გამოცდილებას, სწავლობს ამა თუ იმ ქცევის ფორმას და ახდენს კორექციას გარკვეულ შემთხვევაში, ეს ხდება უშუალო ურთიერთობით, ინტერნეტში ვერაფერს აიღებ მსგავსს, ეს არის ურთიერთობის დეფიციტი“.

თავად ნინო კი ფიქრობს, რომ ინტერნეტდამოკიდებულება რეალობას მოწყვეტილი ადამიანის სენია: „ღირს კი ბუნებას ასე მოვწყდეთ და დავემონოთ ინტერნეტს? იქნებ მოგვეხედა ბუნებისკენ. ის საოცარია, არანაკლებ საინტერესო და იდუმალი ვიდრე ინტერნეტი. ნუ იქნებით სუსტები და ნუ გაექცევით ცხოვრებას, იმიტომ რომ მოძრაობა და აზროვნება ადამიანის პირველი მოვალეობაა“.

სწორედ ამ თემასთან დაკავშირებით გავესაუბრე ფსიქოლოგიის აკადემიურ დოქტორს, ქალბატონ **რუსუდან ბერიძეს**, რომელმაც შემდეგი მითითება მოგვცა:

„ინტერნეტი XX საუკუნის აუცილებლობაა. იგი შეიძლება ითქვას, საჭიროებით არის გამოწვეული. ინტერნეტი ძალიან კარგია, მაგრამ ცუდია ის, რაც იწვევს ინტერნეტდამოკიდებულებას. ახალგაზრდები, რომლებიც მუდმივად მუშაობენ ინტერნეტში, ნელ-ნელა ეჩვევიან, ვეღარ წარმოუდგენიათ ცხოვრება მის გარეშე და შესაბამისად, მასზე დამოკიდებულნი ხდებიან.

რა იწვევს ინტერნეტდამოკიდებულებას? ამის მიზეზი ძირითადად ისაა, რომ ადამიანს სჭირდება ურთიერთობები. ინტერნეტში კი მათ აქვთ საშუალება გაიცნონ და დაიმეგობრონ ისეთი ადამიანები, რომლებიც ცხოვრებაში არასოდეს უნახავთ. მათი აზრით, ასეთ ადამიანებთან ურთიერთობა საინტერესოა, რადგან იგი არ მოითხოვს მათგან არანაირ ვალდებულებას.

ამასთან ერთად, ვირტუალურ სივრცეში უფრო ადვილია კომუნიკაცია, რადგან ადამიანებს შეუძლიათ ერთმანეთს ელაპარაკონ ისეთ თემებზე, რის შესახებაც ვერ ისაუბრებდნენ პირისპირ შეხვედრისას. ინტერნეტი ადამიანებს მატებს თავდაჯერებულობას და უხსნის ბევრ ისეთ კომპლექსს, რომელიც ცხოვრებაში აქვთ და ხელს უშლით ურთიერთობებში.

ასევე ძალიან მიმზიდველია ონლაინთამაშები, რომელთა პროგრამები იმდენად საინტერესოდაა შედგენილი, რომ ადამიანს ბევრ შემთხვევაში თავისივე სურვილის საწინააღმდეგოდ ითრევს.

ამ ყველაფერს ისიც ემატება, რომ ინტერნეტი საინტერესო ინფორმაციების წყაროა, რომლის მოპოვება სხვა გზით არ შეუძლიათ ადამიანებს. ყოველივე ეს ახალგაზრდას კომპიუტერთან მიაჯაჭვებს, რაც ნელ-ნელა დამოკიდებულებაში გადადის.

ამის თავიდან ასაცილებლად სასურველია ადამიანმა თავისუფალი დრო მეგობრებთან ერთად გაატაროს, ეცადოს, რაც შეიძლება მეტი დრო გამოიყენოს ურთიერთობებისათვის და შეზღუდოს სოციალურ ქსელებში მუშაობის ხანგრძლივობა“.

P.S. მეც ვსარგებლობ სოციალური ქსელებით. ინფორმაციას ხშირად ვეძებ მათი მეშვეობით, მაგრამ სიმართლე გითხრათ, უფრო დიდი სიამოვნებით ვიყენებ გასართობად, რა თქმა უნდა, მაშინ, თუკი თავისუფალი დრო მაქვს, მაგრამ ფსიქოლოგთა რეკომენდაციების შემდეგ ვეცდები ეს დრო შევზღუდო.

ნათია ცინარიძე,
განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტი, გეოგრაფიის სპეციალობის I კურსი.

ფაშიზმზე გამარჯვების 67-ე წლისთავი აღინიშნა

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატმა, სტუდენტებმა და პროფესორ-მასწავლებლებმა მეორე მსოფლიო ომში დაღუპული ჯარისკაცების ხსოვნას პატივი მიაგეს. ომის ვეტერანებს ფაშიზმზე გამარჯვების 67-ე წლისთავი მიულოცეს, 1941-1945 წლებში ბრძოლის ველზე დაღუპული გმირები გაიხსენეს და მემორიალი ყვავილებით შეამკეს. მეორე მსოფლიო ომში 700 000-ზე მეტი ქართველი მონაწილეობდა.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის დავით ბაქრაძის ვიზიტი

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს ეწვია. საკანონმდებლო ორგანოს პირველმა პირმა სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს წმიდა მოციქულის ანდრია პირველწოდებულის საქართველოში შემოსვლის დღე მიულოცა და ქვეყნის განვითარების ხედვაზე ესაუბრა. დავით ბაქრაძემ ახალგაზრდებს განხორციელებული რეფორმები, მიმდინარე პროექტები და პრეზიდენტის ინიციატივები გააცნო. ყურადღება გაამახვილა სტუდენტურ ბარათზე, დაზღვევაზე, საზაფხულო დასაქმებისა და სახელმწიფო გრანტის გაუმჯობესების პროგრამაზე. შეხვედრის დასასრულს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ სტუდენტების აქტუალურ შეკითხვებს უპასუხა.

პროექტის „გახდი მენეჯერი სათამაშო მაგიდასთან“ წარდგინება გაიმართა

სტუდენტებმა პროექტის „გახდი მენეჯერი სათამაშო მაგიდასთან“ პრეზენტაცია გამართეს. პროექტი ბიზნეს-ეკონომიკური, ინტელექტუალური თამაშის ჩატარებას ითვალისწინებს და საბანკო, საფინანსო, სადაზღვევო საქმის, საბუღალტრო საგადასახადო საქმის, მენეჯმენტისა და ადმინისტრირების სპეციალობის სტუდენტებს გამოცდილების მიღებაში დაეხმარება. თამაში „მენეჯერი“ მოიცავს ვაჭრობას, საქმიანობის დაგეგმვას, უძრავი ქონების მართვას, განკარგვას, სტრატეგიული ხედვის განვითარებას, კონკურენტებთან ურთიერთობას და საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელ სხვა ელემენტებს. რვადღიანი ტურნირი 2 ივნისს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების ინიციატივით, აჭარის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტისა და ბიზნეს ორგანიზაციების მხარდაჭერით დაიწყება.

სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია გაიხსნა

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენცია გაიხსნა. ერთი კვირის განმავლობაში ყველა ფაკულტეტის სხვადასხვა სპეციალობის 180 სტუდენტი სამეცნიერო მოხსენებებს თოთხმეტი სექციის მიმართულებით წარმოადგენს. სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრის მიერ ორგანიზებული კონფერენციის მიზანია ხელი შეუწყოს ახალგაზრდების სამეცნიერო საქმიანობაში ჩართვას, მეცნიერული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებასა და განვითარებას. სტუდენტებს მონაწილეობისათვის სერტიფიკატები გადაეცემათ, ხოლო საუკეთესო ნაშრომები უნივერსიტეტის სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა კრებულში დაიბეჭდება. კონფერენციის გახსნაზე სტუდენტთა რეფერატულ ნაშრომთა კონკურსში გამარჯვებულები სერტიფიკატებით დაჯილდოვდნენ.

პირველობა მკლავჭიდში

სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში პირველობა ჩატარდა მკლავჭიდში. ტურნირში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხუთივე ფაკულტეტის 100-მდე სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა. პირველობის მოსაპოვებლად 65, 70, 75, 80, 85 და მძიმე კატეგორიის ახალგაზრდები იბრძოდნენ. საუკეთესო სპორტსმენები გამოვლინდნენ ცაციებს შორისაც. სამი საპრიზო ადგილის მფლობელ სტუდენტებს სიგელები გადაეცათ. ხოლო საუკეთესო მკლავჭიდელები 29 მაისს თბილისში დაგეგმილ სტუდენტურ უნივერსიადაში მიიღებენ მონაწილეობას.

ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლებმა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს პროგრამა „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ წარუდგინეს. პროგრამა საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით 2011 წლიდან ხორციელდება და სამცხე-ჯავახეთში, ქვემო ქართლსა და კახეთში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებისათვის ქართულ ენის შესწავლას ითვალისწინებს. ცენტრი 2012-2013 სასწავლო წლისათვის მასწავლებლების შერჩევას იწყებს. კონკურსში მონაწილეობის მიღება აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლის ბაკალავრიატის კურსდამთავრებულებს შეუძლიათ, რომელთაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინიტრო ერთი აკადემიური წლის მუშაობის საფუძველზე, მაგისტრატურას სრულად დაუფინანსებს. პედაგოგებს, რომლებსაც მასწავლებლის სასერტიფიკატო გამოცდებში მონაწილეობის მიღება და პედაგოგიური პრაქტიკის გაგრძელება სურთ, პროგრამის ფარგლებში მიღებული გამოცდილება ერთწლიან სამუშაო სტაჟში ჩაეთვლებათ.

თანამშრომლობის მემორანდუმი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან

თანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერეს ხელი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ალიოშა ბაკურიძემ და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა გიორგი ღავთაძემ. ხელშეკრულება ერთობლივი სასწავლო-საგანმანათლებლო პროექტების განხორციელებას, კონფერენციებისა და სემინარების ჩატარებას, სამეცნიერო პოტენციალის გამოყენებას, გამოცდილების გაზიარებას, საჯარო ლექციების წაკითხვასა და საბიბლიოთეკო ფონდით სარგებლობას ითვალისწინებს. მხარეები ხელს შეუწყობენ სტუდენტებისთვის გაცვლითი პროგრამების ამოქმედებას და მსოფლიოს წამყვან სასწავლო-სამეცნიერო ცენტრებთან ერთობლივი კვლევების ჩატარებას.

ტრადიცია გრძელდება

2012 წლის 23 მაისს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში მესამეჯერ გაიმართა დღესასწაული „შოთაობა“, რომელიც ჩვენი უნივერსიტეტის დაარსების 75-ე წლისთავის საიუბილეო დღეებში ჩაისახა დაწყებითი განათლების კურსის სტუდენტთა შორის. ითქვა, რომ შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი კარგად უნდა იცნობდეს შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“. მაშინ გაჩნდა პოემის სრული ტექსტის ზეპირად დასწავლის იდეაც. ბევრი სტუდენტი ჩაება ამ პატრიოტულ-საგანმანათლებლო პროცესში და როგორც მოსალოდნელი იყო, არ ეყო ზოგიერთს ძალა იმისა, რომ ბოლომდე შეესწავლა „ვეფხისტყაოსანი“, თუმცა იდეა პოემის ზეპირად დასწავლისა ცოცხლობს. დღეისათვის დაწყებითი განათლების

სპეციალობის მესამე კურსის სტუდენტმა მაგდა რუსაძემ ზეპირად იცის 236 სტროფი, სოფიკო ღლონტმა — 235, ხოლო ქეთი დათუნაშვილმა — 408.

„შოთაობის“ ყოველწლიური ზეიმი, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ზეპირად წარმოთქმის ტრადიცია იმართება დევიზით — „ვეფხისტყაოსანი“ საქართველოა და საქართველო „ვეფხისტყაოსანი“. ეს სიტყვები გენიალურ ვაჟა-ფშაველას ეკუთვნის და სავსებით გამოხატავს ,,ვეფხისტყაოსნის ეროვნულ მნიშვნელობას.

,,შოთაობაზე საყურადღებო იყო ,,ვეფხისტყაოსნის საოჯახო ბიბლიოთეკის შექმნის თემა. ტრადიციას, რომელიც მხატვარმა დურსუნ ინაიშვილმა დაამკვიდრა, განაგრძობს ჟურნალისტი და

ბიბლიოთეკარი ოთარ ფუტკარაძე. მის საოჯახო ბიბლიოთეკაში ინახება ,,ვეფხისტყაოსნის 110 გამოცემა, მათ შორის, აზერბაიჯანული თარგმანიც. ჩვენი უნივერსიტეტის წარჩინებული სტუდენტი ფიდან ასკურავა, რომელიც აქამდე მხოლოდ ქართულ ენაზე სწავლობდა „ვეფხისტყაოსანს, ახლა პარალელურად მშობლიურ, აზერბაიჯანულ ენაზეც ისწავლის.

„შოთაობა“ დაამშვენა „ვეფხისტყაოსნის“ ზურაბ ხაბაძისეულმა ილუსტრაციებმა. მაყურებელმა ნახა მხატვრის 8 საუკეთესო ნაშრომი, რომლებმაც მნიშვნელოვნად გააძლიერა „შოთაობის“ მხატვრული სანახაობა.

„შოთაობა“ მხატვრულად გააფორმა რეჟისორმა როინ დვალმა. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში გამართულ „შოთაობას“ კარგი შეფასება მისცეს საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარემ, პოეტმა დავით თედორაძე, ჟურნალისტმა ოთარ ფუტკარაძემ და უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ალიოშა ბაკურიძემ.

პედაგოგიკის მეცნიერებათა დეპარტამენტის ასისტენტ პროფესორმა, დარეჯან გელაძემ ახალი ინიციატივით გაამდიდრა ჩვენი ტრადიციული „შოთაობა“. მან გადაწყვიტა „ვეფხისტყაოსნის“ ელექტრონული ვერსია გადასცეს ყველა სტუდენტს, ვინც პოემის ტექსტის ზეპირად დასწავლის მარათონშია ჩაბმული.

იური ბიბილეიშვილი

თქვენს მხარდაჭერას ელიან

უყურეთ 4 ივნისს, 22 საათზე და მხარი დაუჭირეთ მათ!

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის სპეციალობის პირველი კურსის სტუდენტი დავით აბესლამიძე სახალხო პროექტ „ნიჭიერის“ ნახევარფინალისტია. იგი ბავშვობიდან მღერის. ჯგუფ „დაიმონცის“ ახალგედა წევრს თანაქალაქელების მხარდაჭერის იმედი აქვს.

— დავით, რა ასაკიდან მღერით?

— 5 წლიდან. სიმღერა თავდაპირველად ანსამბლ „ჩანგში“ დავიწყე“, რომელიც შემდგომ „ბავშვთა ოპერის“ სახელწოდებით გახდა ცნობილი. ამ უკანასკნელის დაშლის შემდეგ კი ბათუმის მუსიკალურ ცენტრთან არსებულ ახალგაზრდულ მუსიკალურ თეატრში განვაგრძე მოღვაწეობა.

— რამდენი წევრისგან შედგება ჯგუფი „დაიმონცი“ და როდის ჩამოყალიბდა იგი?

— ჯგუფი 5 წევრისგან (4 ვაჟი და ერთი გოგონა) შედგება. იგი 2006 წელს ჩამოყალიბდა და მე მათი ახალბედა წევრი ვარ, 2012 წელს შევუერთდი, პროექტ „ნიჭიერის“ დაწყებამდე ერთი კვირით ადრე.

— დავით, ჯგუფის წევრები ბავშვთა ოპერაში მღეროდით. აქედან გამომდინარე, თქვენს ნიჭიერებაში ეჭვი არც არავის ეპარება. რამ გადაგაწყვეტინათ პროექტ „ნიჭიერში“ მონაწილეობა?

— დიახ, ისინი მართლაც უნიჭიერესები არიან და ეს ბევრჯერაც დაამტკიცეს. შესაბამისად, მეც მიადვილდება და ასეთ ადამიანებთან ურთიერთობა. რაც შეეხება ნიჭს, დიდი სურვილი გვაქვს, მთელმა საქართველომ გაგვიცნოს. გვინდა ახალი შემართებით, სრულიად ახალი ძალისხმევით მოვიპოვოთ აღიარება. მოკლე დროში ბევრი რამ მოვახერხეთ. ვფიქრობთ, ეს პროექტი ამაში ნამდვილად დაგვეხმარება.

— რას ნიშნავს თქვენთვის პროექტი „ნიჭიერი“?

— „ნიჭიერი“ ჯგუფისთვის პირველი პროექტია, სადაც ერთიანი ძალისხმევით ვმონაწილეობთ. შესაბამისად, ეს ჩვენთვის საუკეთესო შანსია, რაც კი ოდესმე შეიძლება მოგვცემოდა. „ნიჭიერი“ სახალხო პროექტია, ამიტომ გადაწყვეტილებასაც ობიექტურად იღებენ. მიუხედავად იმისა, გავიმარჯვებთ თუ არა, პროექტში მონაწილეობა ჯგუფისთვის საკმაოდ დიდი, წინგადადგმული ნაბიჯია.

— დავით, რას ურჩევთ ან სთხოვთ მაყურებელს, განსაკუთრებით კი თანაქალაქელებს?

— ნახევარფინალი 4 ივნისს გაიმართება. გვიყურონ და მხარი დაგვიჭირონ. რა თქმა უნდა, ბათუმელების განსაკუთრებული იმედი გვაქვს. მთელი ჩვენი შემოქმედება ხალხს ეკუთვნის და მათი გულშემატკივრობა კი ჯგუფისთვის სტიმულის მომცემია ახალ-ახალი გამარჯვებების მოსაპოვებლად.

— როგორია თქვენი სტუდენტური ცხოვრება?

— საკმაოდ გადატვირთული გრაფიკიდან გამომდინარე სტუდენტურ ცხოვრებაში ვერ ვაქტიურობ. მთელ დროს შემოქმედებით საქმიანობას ვუძღვნი და შესაბამისად, მთლიანად მასზე ვარ გადართული. სამომავლოდ ნამდვილად მსურს, ჩემი ცხოვრების ეს ორი უმნიშვნელოვანესი მომენტი ერთმანეთს როგორმე შევუთავსო.

sergo dumbaZe — 75



დაბადებიდან 75 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობიდან 45 წელი შეუსრულდა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-ემერიტუსს, ბატონ სერგო შუქრის ძე დუმბაძეს.

იგი დაიბადა 1937 წლის 20 მაისს, ზემო აჭარის ისტორიულ სოფელ ბაკოში. სერგო დუმბაძემ დაწყებითი განათლება მშობლიურ სოფელში — თხილვანაში, ხოლო რვაწლიანი განათლება მშობლიურ სოფელში მიიღო, ხოლო საშუალო განათლება კი ხიხაძირის სკოლაში.

1956 წელს სერგო დუმბაძე ჩაირიცხა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე და აქედან დაიწყო მისი აქტიური სტუდენტური საქმიანობა. სწავლასა და სამეცნიერო მუშაობაში აქტიურ სტუდენტს დაენიშნა ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის სტიპენდია.

1961 წელს სერგო დუმბაძემ წარჩინებით დაამთავრა პედაგოგიური ინსტიტუტი და შეუდგა პრაქტიკულ პედაგოგიურ მოღვაწეობას ხულოს რაიონის სოფელ თხილვანას არასრულ საშუალო სკოლაში. ამავე წელს გაიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში, სადაც 1963 წლამდე დაჰყო და ოფიცრის ჩინით დაუბრუნდა ოჯახს. მხედრული მოვალეობის მოხდის შემდეგ დაუბრუნდა პედაგოგიურ მოღვაწეობას და მალე დააწინაურეს თხილვანას საშუალო სკოლის დირექტორად.

1970 წელს, სერგო დუმბაძე როგორც პერსპექტიული ისტორიკოსი, დაუბრუნდა პედაგოგიურ ინსტიტუტს და აქ განვლო გზა კათედრის ლაბორანტობიდან დაწყებული — შემდეგ იყო უფროსი მასწავლებელი, კათედრის დოცენტი, პროფესორი, კათედრის გამგე, ფაკულტეტის დეკანი და ამჟამად პროფესორ-ემერიტუსია. კათედრაზე ნაყოფიერი კვლევითი მუშაობის გამო იგი გაგზავნეს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნობრივ ასპირანტურაში, რომელიც დაამთავრა 1980 წელს და 1981 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. 1984 წელს აირჩიეს დოცენტის თანამდებობაზე, რომლის შემდეგაც ენერგიულად განაგრძო პედაგოგიური და სამეცნიერო-კვლევითი მოღვაწეობა.

სერგო დუმბაძის კვლევის სფეროს წარმოადგენს საქართველოს უახლესი პერიოდის მნიშვნელოვანი მოვლენები და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს გამოჩენილ ადამიანთა მოღვაწეობის წარმოჩენა. ამ მხრივ საყურადღებოა „სელიმ ხიმშიაშვილის სტრატეგიული მიზანი და მისი განხორციების გზები“. განსაკუთრებით დიდი დრო დაუთმო მეორე მსოფლიო ომისა და დიდი სამამულო ომის ფრონტებზე აჭარიდან წარგზავნილთა და თავგანწირულთა გმირობის გაშუქებას. იგი ამ პრობლემურ საკითხზე მუშაობას აგრძელებს ამჟამადაც. ეს დიდი შრომა მას ღირსეულად დაუფასდა. 2003 წლის 14 თებერვალს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა მეორე მსოფლიო ომისა და ომის შემდგომ პერიოდში“ და მიენიჭა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი მის მიერ შესრულებულ ნაშრომზე, რომელიც ცალკე წიგნად 2005 წელს გამოვიდა. ამჟამად აბელ სურგულაძის, სერგო ტაბაღუას შრომებთან ერთად გამოვიდა საინტერესო კრებული სახით „აჭარა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში“ (1939-1945 წლები) (გამომცემლობა ბათუმის უნივერსიტეტი, 2011 წელი).

სადოქტორო დისერტაციის დაცვის შემდეგ სერგო დუმბაძეს მიენიჭა პროფესორის წოდება და გააფართოვა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის სფერო. სამეცნიერო მუშაობასთან ერთად იგი იყო დეკანი, კათედრის გამგე უნივერსიტეტში და გონიოს კოოპერაციულ ინსტიტუტში. ასევე ნაყოფიერად მოღვაწეობს სხვადასხვა საქველმოქმედო საზოგადოებასა და ორგანიზაციაში. გარდა მისი შრომებისა, მონოგრაფიებისა, ბროშურებისა, სტატიებისა, წერილებისა და რეცენზიებისა, სერგო დუმბაძე რედაქტორია მრავალი წიგნისა და გამოცემისა.

1996 წელს გამოვიდა სერგო დუმბაძის წიგნი „წარუშლელი ფურცელი“, რომელიც მიძღვნილია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო ინსტიტუტის ღვაწლზე დიდი სამამულო ომის წლებში. შემდგომი კვლევა-ძიებით მან გააფართოვა აღნიშნული პრობლემა და 2002 წელს გამოსცა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სკოლა ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის პერიოდში (1941-1945).

სერგო დუმბაძემ დიდი მუშაობა გასწია, რედაქტირება გაუწია და ვლადიმერ მამულაძესთან ერთად 1997 წელს გამოსცა ცნობილი სახელმწიფო, პარტიული და საზოგადო მოღვაწის დავით მამულაძის მოგონება „რწმენით გავლილი გზა“, ხოლო 1998 წელს მათვე გამოსცეს დავით მამულაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი წიგნი „ხიხანის საარწივოდან“.

პროფესორმა სერგო დუმბაძემ ავღანეთში სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობისათვის მივლინებულ პროფ. შუქრი ფალავანდიშვილთან ერთად 2007 წელს გამოსცა მონოგრაფია „ისინი იბრძოდნენ ავღანეთში“ — ავღანეთში მებრძოლი ქართველების შესახებ.

საქართველოში პირველად სერგო დუმბაძემ გამოაქვეყნა მონოგრაფია 2004 წელს „კავშირგაბმულობა და ფოსტა აჭარაში“, რომელშიც ამ დარგის ხელმძღვანელთა და მუშაკთა ღვაწლი წარმოგვიჩინა. ნაშრომში საქართველოს კავშირ-გაბმულობის ისტორიის დაწერის პირველი ცდაა აჭარის მაგალითზე.

2006 წელს ნიკოლოზ და სერგო დუმბაძეებმა ერთობლივად გამოაქვეყნეს მშობლიური კუთხის ღირსეული პიროვნების, საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის — სერგო ჯაიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი წიგნი „ხიხანელი ხევისბერი“.

2007 წელს სერგო დუმბაძემ და ვლადიმერ მამულაძემ საშვილიშვილო საქმე შეასრულეს და გამოსცეს 1946 წლის 5 სექტემბერს ავტოკატასტროფის გამო დაღუპული ცნობილი პიროვნებების: ნოდარ თენიეშვილის, ლევან გაბაიძის, დიმიტრი ხოზრევანიძისა და შოთა თავართქილაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი წიგნი „საბედისწერო მგზავრობა“.

2009 წელს პროფესორმა სერგო დუმბაძემ წიგნი მიუძღვნა პედაგოგიური ინსტიტუტის დოქტორის, პროფესორ ნადიმ ნიჟარაძის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, სათაურით „პრინციპული ხელმძღვანელი, მეცნიერი მოღვაწე“, რომელიც ინტერესით იკითხება.

ყველა წიგნის ჩამოთვლა სცილდება საგაზეთო სტილის ფორმატს, მაგრამ მთელი რიგი პუბლიცისტური წერილებისა და სტატიების აღწერა მიზანშეწონილია. ისეთები, როგორიცაა „სოფელი ბაკო —ისტორიულ-ეთნოგრაფიული დახასიათება“, სელიმ ხიმშიაშვილი — საქართველოს ერთიანობისათვის წამებული რაინდი“, „იტალიელი მეცნიერი აჭარის შესახებ“, „დედაენის“ როლი საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლაში“, „აბუსერისძე ტბელის თხზულების ზოგიერთი გეოგრაფიული სახელის შესახებ“. ეტიმოლოგიურად ახსნილია, „ხიხა“, „ხიხათა“, „ხიხანი“, „შუარტყალი“ (შუაწყალი) და სხვ.

სერგო დუმბაძემ პირველმა ქართულ ისტორიოგრაფიაში, შეძლო გეოგრაფიული პუნქტის „შუარტყალის“ ეტიმოლოგიური ახსნა, ლოკალიზაცია 1967 წელს მიანიშნა, რომ შუარტყალი, სადაც აბუსერისძენი ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ არის დღევანდელი სოფელი ქვედა თხილვანა, რაც დადასტურდა შემდგომში არქეოლგიური გათხრების შედეგად.

საინტერესოა სერგო დუმბაძის წერილი „ეს თქვენ ხელგეწიფებათ ბატონო პრეზიდენტო“ (გაზ.„საქართველოს რესპუბლიკა“, 23 იანვარი, 2004), რომლეშიც წამოაყენა რამდენიმე წინადადება რამდენიმე ცვლილება-დამატების შესახებ „საქართველოს კონსტიტუციაში“ პრეზიდენტის ფიცის ტექსტის სამართლებრივი სრულყოფისა და სხვა საკითხებთან დაკავშირებით.

აღსანიშნავია, მისი წერილები და სტატიები საქართველოს გამოჩენილი ადამიანების სელიმ და შერიფ ხიმშიაშვილების, მემედ აბაშიძის შესახებ და სხვა მრავალი.

პროფესორი სერგო დუმბაძე დამსახურებულად არის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევების ოთხტომეულის მეოთხე ტომის თანაავტორი. პროფესორი სერგო დუმბაძე არის 500-მდე საგაზეთო წერილის, საჟურნალო სტატიის, მოგონების, მეცნიერული რეცენზიის, 60-მდე მეცნიერული ნაშრომის, მათ შორის 10 მონოგრაფიის ავტორი. სერგო დუმბაძე აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეცაა. არის სხვადასხვა ორგანიზაციის ხელმძღვანელი. განსაკუთრებით ნაყოფიერად მუშაობს „აჭარის ღვაწლმოსილ მუშაკთა პატივმიგების და მადლიერების საზოგადოება“, რომელმაც 60-ზე მეტი პიროვნების ღვაწლი აღნიშნა.

სერგო დუმბაძის კონსულტაციარეკომენდაციით დაწესდა სახალხო დღესასწაული „სელიმობა“ 2005 წელს, აღინიშნება ყოველი წლის 3 ივნისს სხალთა-ხიხანის ხეობაში. მისი მონაწილეობით აღინიშნა თხილვანის საშუალო სკოლის (1997 წ.), ბაკოს საჯარო სკოლის (2008 8.) 80 წლისთავის იუბილეები. გამოჩენილი პიროვნებების სახელი მიენიჭა დავით მამულაძის ქვედა თხილვანის საშუალო (ამჟამად საჯარო) სკოლას (1998 წ.), სელიმ ხიმშიაშვილის — ბაკოს საჯარო სკოლას (2008 წ.) და შერიფ ხიმშიაშვილისა — მთისუბნის საჯარო სკოლას (2012).

სერგო დუმბაძის განვლილი გზა უყურადღებოდ არ დარჩენილა. 1997 წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ ხანგრძლივი, ნაყოფიერი სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობისათვის დაბადებიდან 60 წლის იუბილესთან დაკავშირებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საპატიო სიგელით დააჯილდოვა.

საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირის გამგეობამ „პედაგოგიურ დარგში განსაკუთრებული დამსახურებისათვის“, 2007 წელს პროფესორი სერგო დუმბაძე დაბადებიდან 70 წლის იუბილესთან დაკავშირებით დააჯილდოვა იაკობ გოგებაშვილის სახელობის მედლითა და საპატიო სიგელით.

75 წლის მეცნიერ-მკვლევარი ჩვეული მხნეობითა და ენერგიით განაგრძობს ნაყოფიერ მეცნიერულ-კვლევით და პედაგოგიურ მოღვაწეობას. სერგო დუმბაძეს ვუსურვებთ კიდევ მრავალ წელს ჯანმრთელ სიცოცხლესა და წარმატებებს.

კეთილი სურვილებით:
ნოდარ ბარამიძე,
ბიჭიკო დიასამიძე,
შოთა მამულაძე

პროფესორ ონისე სურმანიძის 70 წლის იუბილე

შოთა რუსთაველის დარბაზში ცნობილი მათემატიკოსის, ქართული მათემატიკური სკოლის ღირსეული წარმომადგენლის, პროფესორ ონისე სურმანიძის 70 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო შეხვედრა გაიმართა. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ალიოშა ბაკურიძემ, აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ, პროფესორმა მიხეილ მახარაძემ, პროფესორ-მასწავლებლებმა, სტუდენტებმა, საზოგადოების წარმომადგენლებმა და მეგობრებმა ღვაწლმოსილი მეცნიერის ცხოვრებასა და მიღწევებზე ისაუბრეს. იუბილარს მნიშვნელოვანი თარიღი მიულოცეს და სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს. საქართველოს მათემატიკოსთა კავშირმა პროფესორი ონისე სურმანიძე ხანგრძლივი და ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობისათვის სიგელით დააჯილდოვა.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში, ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში და შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესორ ონისე სურმანიძის მოღვაწეობის წლები ნაყოფიერი სამეცნიერო და აქტიური პედაგოგიური მოღვაწეობის წლებადაა აღიარებული.

ონისე სურმანიძე დაიბადა 1942 წლის 13 იანვარს, ხულოს რაიონის სოფელ რაქვთაში. 1959 წელს ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე ჩაირიცხა. წარჩინებულ და მაღალი აკადემიური მომზადების სტუდენტს მინიჭებული ჰქონდა უმაღლესი ხარისხის საუნივერსიტეტო სტიპენდია.

1964 წელს მუშაობა დაიწყო ხულოს რაიონის სოფ. რაქვთის რვაწლიანი სკოლის მათემატიკის მასწავლებლად, 1965 წელს კი - კომკავშირის ხულოს რაიკომის პირველ მდივნად. 1968 წელს სამუშაოდ გადავიდა ა. რაზმაძის სახელობის თბილისის მათემატიკის ინსტიტუტში.

პროფესორ ონისე სურმანიძის სამეცნიერო მუშაობის სფეროს მიეკუთვნება თანამედროვე ალგებრის საინტერესო მიმართულება - ჯგუფთა თეორია. არჩევანის გაკეთებისას დიდი როლი ითამაშა პროფესორმა შოთა ქემხაძემ, რომელიც მას სტუდენტობის წლებში უკითხავდა სპეციალურ კურსებს ჯგუფთა თეორიაში. მათემატიკის ინსტიტუტის ალგებრა-გეომეტრიის განყოფილების ხელმძღვანელის, საქართველოში აბსტრაქტული მათემატიკის ფუძემდებლის აკადემიკოს გიორგი ჭოღოშვილის ზეგავლენით, მისი კვლევების არეალი გაფართოვდა, საინტერესო შინაარსი შეიძინა და ტოპოლოგიურ ალგებრას დაუკავშირდა. ქართული აბსტრაქტული მათემატიკური სკოლის განვითარების ინტერესებიდან გამომდინარე, 1969 წელს მიავლინა მოსკოვის მათემატიკურ სკოლაში, სადაც ცნობილი რუსი მათემატიკოსის, პროფესორ ლ. კულიკოვის ხელმძღვანელობით გაიარა ასპირანტურის კურსი და დაიცვა დისერტაცია თემაზე: „სუსტად წრფივად კომპაქტური ტოპოლოგიური აბელის ჯგუფები“.

დისერტაციის დაცვის შემდეგ ონისე სურმანიძემ აქტიური სამეცნიერო მოღვაწეობა დაიწყო თბილისის მათემატიკის ინსტიტუტში და ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. არის მრავალი ცნობილი სამეცნიერო შრომის ავტორი, კითხულობდა საინტერესო ლექციების კურსებს თანამედროვე ალგებრის აქტუალურ მიმართულებებში.

პროფესორი ონისე სურმანიძე გახლავთ მრავალი მათემატიკური ფორუმის მონაწილე. დიდი წარმატებით მონაწილეობდა ჩვენი ქვეყნისა და უცხოეთის მათემატიკურ სიმპოზიუმებსა და კონფერენციებში.

1989 წლიდან ონისე სურმანიძე იწყებს პედაგოგიურ მოღვაწეობას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მათემატიკის კათედრაზე, ხოლო 1996 წლიდან შეთავსებით - ბათუმის ახლად დაარსებული უნივერსიტეტის მათემატიკის კათედრაზე. 2006 წელს თავისი მოღვაწეობა მთლიანად დაუკავშირა მშობლიურ ბათუმის უნივერსიტეტს. იგი ნაყოფიერად მუშაობდა მათემატიკის კათედრის, მათემატიკის დეპარტამენტის და უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელად.

შოთა მამულაძე - 60

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტისა და არქეოლოგიის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელს, სრულ პროფესორს, ბატონ შოთა მამულაძეს 60 წელი შეუსრულდა. მას მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ჩვენი რეგიონის ძველი ისტორიის, კულტურის კვლევისა და მომავალი თაობის აღზრდის საქმეში.

ბატონი შოთა დაიბადა აჭარისწყლის ულამაზეს ხეობაში, აქვე დაამთავრა შუახევის საშუალო სკოლა. ღაღმა ბუნებამ და მდიდარმა ტრადიციებმა დიდი ზეგავლენა იქონია მის პიროვნულ ფორმირებაზე. სკოლის დამთავრებისთანავე იგი გახდა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტი, საიდანაც დაიწყო მისი მოღვაწეობის მრავალისმომცველი გზა. ბატონი შოთა ყოველწლიურად მონაწილეობდა ფიჭვნარისა და გონიო-აფსაროსის არქეოლოგიური ძეგლების საველე თუ კამერალურ სამუშაოებში, საუნივერსიტეტო თუ რესპუბლიკურ კონფერენციებში.

იუბილარი სტუდენტობის წლებიდან დაწყებული დღემდე აგრძელებს უნივერსიტეტის კედლებში მოღვაწეობას. პედაგოგიური საქმიანობის პარალელურად გაიარა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ასპირანტურის სრული კურსი. მის სახელთანაა დაკავშირებული აჭარისწყლის ხეობის უძველესი არქეოლოგიური ძეგლების თანმიმდევრული, გეგმაზომიერი კვლევების დაწყება, სტაციონალური საველე სამუშაოების განხორციელება (ზენდიდი, კვაშტა, კოლოტაური, წონიარისი, სხალთა, თხილვანა, წაბლანა, კალოთა, ვარდციხე, ვერნები და სხვ.) მან მადლიანი მიწის წიაღში აღმოჩენილი ნივთიერი კულტურის ძეგლების შესასწავლად, ქართულ და უცხოურ (ინგლისური, გერმანული, რუსული) ენებზე გამოაქვეყნა არაერთი სამეცნიერო სტატია და მონოგრაფია. წარმატებით დაიცვა და მიენიჭა ჯერ ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის, ხოლო შემდეგ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხები. შოთა მამულაძის კვლევებით დადასტურდა, რომ აჭარისწყლის ხეობა ძვ.წ. - ათასწლეულებისათვის დასავლურ-ქართული ტომობრივი კულტურის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კერას, ხოლო ადრე და განვითარებული შუასაუკუნეებისათვის ქართული რენესანსის ცენტრებთან, შავშეთ-იმერხევსა და ტაო-კლარჯეთთან დამაკავშირებელ მაგისტრალს წარმოადგენდა.

1994 წლიდან შოთა მამულაძე ინიშნება ახლად გახსნილი გონიო-აფსაროსის არქეოლოგიურ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის დირექტორად, საიდანაც იწყება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი მის სამეცნიერო საქმიანობაში. ბათუმის უნივერსიტეტში ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელობას დღემდე უთავსებს ამ საპატიო მოვალეობას.

მისი სამეცნიერო-კვლევითი ინტერესების სფეროში მოექცა მდ. ჭოროხის აუზი, რომელიც წარმოადგენს კოლხური კულტურის უძველეს კერას. ყველასთვის ცნობილია, რომ 1995 წლიდან დღემდე რომაული ხანის ძეგლზე, გონიო-აფსაროსის ტერიტორიაზე, მუშაობს მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიცია, რომელშიც აქტიურად მონაწილეობს ჩვენი იუბილარი. მან დიდი წვლილი შეიტანა არა მარტო მდიდარი და მრავალფეროვანი არქეოლოგიური არტეფაქტების აღმოჩენაში, არამედ ახალგაზრდა მეცნიერ-არქეოლოგებს შეასწავლა და შეაყვარა ეს შრომატევადი საქმე, რისი დასტურიც მათ მიერ დაცული დისერტაციები გახლავთ.

დღეს შოთა მამულაძე უნარიანად უძღვება სასწავლო პროცესს, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების შემუშავებაში, მონაწილეობს ადგილობრივ თუ საერთაშორისო კონფერენციებში. მნიშვნელოვანია ისიც, რომ იგი აქტიურად ჩაერთო ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებულ კომპლექსურ ექსპედიციებში. ხელმძღვანელობს შოთა რუსთაველის ფონდით დაფინანსებულ პროექტს ჭანეთის აღმოსავლეთი ნაწილის არქიტექტურული ძეგლები. ნაშრომისათვის „აჭარისწყლის ხეობის შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები“ მინიჭებული აქვს აბუსერიძე ტბელის სახელობის პრემია.

ჩვენი ქვეყნის ისტორიისა და კულტურის მკვლევარს, პედაგოგსა და შესანიშნავ მოქალაქეს პროფესორ შოთა მამულაძეს გულითადად ვულოცავთ სახელოვან იუბილეს. ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლესა და მორიგ შემოქმედებით წარმატებებს ვუსურვებთ.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

იოსებ აბაშიძე — 80

ფიზიკის დეპარტამენტის ღვაწლმოსილ პედაგოგს ბატონ იოსებ აბაშიძეს 2012 წლის 15 აპრილს დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა.

იოსებ აბაშიძე დაიბადა 1932 წლის 15 აპრილს. 1951 წელს დაამთავრა ხიხაძირის საშუალო სკოლა. 1955 წელს დაამთავრა შოთა რუსთაველის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი მათემატიკის სპეციალობით. 1970 წლიდან მუშაობს შოთა რუსთაველის სახელმწიფო პედაგოგიურ, ხოლო შემდეგ უნივერსიტეტში ფიზიკის კათედრაზე, ჯერ სასწავლო სახელოსნოს გამგედ, შემდეგ მასწავლებლად, ხოლო 1975 წლიდან უფროს მასწავლებლად. 1977 წელს გაიარა კვალიფიკაციის ამაღლების კურსები კალინინის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 1983 და 1988 წლებში კი კიევის ა. მ. გორკის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში. 1993 წელს თბილისის ივ.ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მოიპოვა პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. 1995-2005 წლებში მუშაობდა ფიზიკის დეპარტამენტში დოცენტის თანამდებობაზე.

იოსებ აბაშიძე არის რამდენიმე მეთოდური და სამეცნიერო შრომის ავტორი. მისი შრომები ეძღვნება ფიზიკის სწავლების მეთოდიკას, სინათლის მრავალჯერადი გაბნევის გამოკვლევებს და სხვა. მის მიერ გამოიცა ცნობარი „სიდიდეთა საზომი ერთეულებისა და მათი მაკავშირებელი კოეფიციენტების ცხრილები“. ი. აბაშიძე წლების განმავლობაში უძღვებოდა ზოგადი ელექტროტექნიკისა და ფიზიკის სწავლების მეთოდიკის დისციპლინებს. მისი ძალისხმევით შეიქმნა ფიზიკის მეთოდიკის და ელ. ტექნიკის ლაბორატორიები, რომლებიც ამჯერად განთავსებულია 402-ე აუდიტორიაში.

მთელი მისი ცხოვრება და შემოქმედება უნივერსიტეტს უკავშირდება. სანამ ჯანმრთელობა ხელს უწყობდა, ცდილობდა შეეტანა თავისი წვლილი სხვადასხვა ლაბორატორიული დანადგარის კონსტრუირებაში, თუნდაც კონსულტაციების სახით.

ფიზიკის დეპარტამენტი ულოცავს ღვაწლმოსილ პედაგოგს დაბადებიდან 80 წლის იუბილეს, უსურვებს ჯანმრთელობას და ოჯახურ სიმყუდროვეს. მის მიერ გაწეული ხანგრძლივი და რაც მთავარია, ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობა უდავოდ დაამშვენებს და სრულყოფს ფიზიკის დეპარტამენტის ისტორიის ფურცლებს.

ფიზიკის დეპარტამენტი

შოთა მამულაძე - 60

კაცური კაცობის ხიბლი

ბატონო შოთა, მოგესალმებით და გულწრფელი სიყვარულით მოგიდოცავთ თქვენი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ღირსსახსოვარ თარიღებს — დაბადებიდან 60 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 35 წლისთავს.

ქართული ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენელი, აღიარებული არქეოლოგი, მეცნიერ-მკვლევარი და ორგანიზატორული ნიჭით გამორჩეული ხელმძღვანელი — ასე გიცნობთ ბატონო შოთა თქვენ საზოგადოება. გიცნობთ როგორც გულმართალ, კრისტალურად სპეტაკ, დარბაისელ, გაწონასწორებულ, მაღალმოქალაქეობრივი და პედაგოგიური ღირსებებით შემკულ, საქვეყნო ინტერესებით შთაგონებულ, სიტყვის, საქმის და წიგნის კაცს, ფუტკარივით გამრჯე და თაფლივით ტკბილ, კეთილშობილ ადამიანს, თანამდგომს, უღალატო მზიანი გულის საიმედო მეგობარს, ასე რომ უხდებით ქალაქს.

წელიწადის ულამაზეს დროს - ვარდობის თვეში, მთის ლაღ ბუნებაში დაბადებული, მთის ჰაერივით სუფთა და ჯანსაღი, მთის ბუნებასავით მომხიბლავი და მიმზიდველი, ცხოვრებაშიც მხოლოდ ია-ვარდს თესავთ და სიყვარულს იმკით. „ყოველ დღესა შენს თავს ჰკითხე, აბა მე დღეს ვის რა ვარგე“?! - ერის სულიერი მოძღვრის ილიას ეს ბრძნული შეგონება თქვენი ცხოვრების მრწამსს, კრედოს წარმოადგენს.

თავდავიწყებით გიყვართ საკუთარი მხარის ყველა კუთხე-კუნჭული, ღელეღურდანი, ქვეყანაცა და ზეყანაც, მშობლიური მიწა-წყალი, ადამიანები, ერიც და ბერიც, დიდიც და პატარაც, წარსულიც და აწმყოც.

ამიტომაც გვიყვარხართ, ღვთიური ბუნების კაცად მიგვაჩნიხართ.

„დედა ენის“ ხიბლს და მადლს ნენიის საჯარო სკოლაში, ეზიარეთ. აქ შეიცანით „ფერუთვალავი სამყარო“. აქედან დაიწყო შემოქმედებითი ძიების, წვისა და დაგვის გზა-სავალი.

შემდეგ იყო ბათუმის სახელმწიფო-პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი, ბიბლიოთეკებსა და მუზეუმებში ისტორიულ წყაროებზე თავდაუზოგავი მუშაობა, არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი უნიკალური ნივთებითა და სამეცნიერო კონფერენციებზე მიღებული ჯილდოებით გამოწვეული სიხარული.

საჩინო, წარმატებული და წარჩინებული სტუდენტი, კურსის დამთავრების შემდეგ ინსტიტუტში დაგტოვეს და მეცნიერების დიდ გზაზე გასასვლელად გზა დაგილოცეს.

გვეამაყები, რომ აღიარებული არქეოლოგი და მეცნიერ-მკვლევარი უნარიანად ხელმძღვანელობთ ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტმენტს, სათავეში უდგახართ გონიო-აფსაროსის მუზეუმ ნაკრძალს, მუდმივმოქმედ ექსპედიციას, არქეოლოგიის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებსა და სამეცნიერო გრანტებს. ხართ მრავალი საერთაშორისო და ადგილობრივი კონფერენციის, კონგრესის, სიმპოზიუმის მონაწილე, დოქტორანტის, მაგისტრანტის, დისტერტაციის ხელმძღვანელი, ექსპერტი, სამეცნიერო-პედაგოგიური ნაშრომის რედაქტორი და რედკოლეგიის წევრი.

სამაგალითო და შთამბეჭდავია თქვენი როგორც პედაგოგის და აღმზრდელის როლი სტუდენტ-ახალგაზრდობის განსწავლულობასა და ზნეობრივ სრულქმნაში. თქვენი დამაჯერებელი, შთამაგონებელი თხრობით, არგუმენტირებული მსჯელობით და ფართო ერუდიციით სტუდენტების თვალწინ შთამბეჭდავად იშლება ცოდნის ჯადოსნური სამყარო, უფართოვდებათ ცოდნა სამშობლოს წარსულსა და აწმყოზე, უღვივდებათ მამულის სიყვარულის გრძნობები, უვითარდებათ ლოგიკური აზროვნების უნარი. თავად მიდიან ისტორიული მოვლენების მიზეზ-შედეგობრივ ანალიზამდე, ეუფლებიან ბავშვის სულის მართვის ხელოვნებას.

„მეამაყებით შოთა მასწავლებელო, როგორც შეუდარებელი პედაგოგი, მეცნიერ-მკვლევარი, სტუდენტთა თანამდგომი და უფროსი მეგობარი. მადლობა იმ ლამაზი ლექციებისათვის, აწმყოსათვის, მომავლისათვის, თქვენგან დანთებული სინათლის შუქისათვის, სიკეთისათვის, გზის გაკვლევისათვის, დიდი მხურვალე გულისა და ჩვენზე გაწეული ამაგისათვის.“

უღრმესი პატივისცემით,
მირზა ზოიძე, სტუდენტი

მხოლოდ ქვეყნის, ადამიანების სიყვარულით გულანთებულ მამულიშვილს ეუბნებიან ასეთ სამადლობელ სიტყვებს, მხოლოდ რჩეულთა შორის რჩეულს შესწევს უნარი ასე უმწიკვლოდ და მუხლჩაუხრელად ემსახუროს თავის ქვეყანას, ადამიანებს, მიანიჭოს მათ სიხარული, შექმნას 6-მდე მონოგრაფია, 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი და სტატია. სამზეოზე გამოიტანოს ჩვენი ისტორიის მივიწყებული ფაქტები, მიწის სიღრმეში დამარხული უნიკალური განძი, სამუზეუმო ექსპონატი, ერთი სიტყვით, საკუთარი გული მშობლიური მხარის წარსული დიდიების წარმოჩენას, მამულისათვის დამაშვრალ ადამიანთა ხსოვნის უკვდავყოფას მიუძღვნას.

ბატონო შოთა, თქვენი უმწიკვლო, დაუცხრომელი და ნაყოფიერი მუშაობა ჯეროვნადაა დაფასებული. დაჯილდოებული ხართ საპატიო სიგელებით, დიპლომებით, მინიჭებული გაქვთ აბუსერისძე ტბელის პრემია.

ღვაწლმოსილ მეცნიერ-პედაგოგს ოჯახიც გამორჩეული და ლამაზი გყავთ. თქვენი ცხოვრების ერთგული მეგზური და მეგობარი თამილა ვარშანიძე მოწინავე პედაგოგია. მოსიყვარულე მეუღლეებმა სამი სანაქებო შვილი აღზარდეთ. ნაჯი მაგისტრანტი, ხოლო ნინო და მარიამი სტუდენტები არიან. ისინი ცხოვრების დიდ გზაზე გასასვლელად ემზადებიან და ცდილობენ პრაქტიკულად განახორციელონ ბრძნული შეგონება: „ის ურჩევნია მამულსა...“

ასე ლამაზად, უამრავი საფიქრალ-საზრუნავით ცხოვრობთ, დღენიადაგ იღვწით და იწვით და საქვეყნო საქმის სამსახურში იხარჯებით.

დღეგრძელობა, მზეგრძელობა, სითბო, სიყვარული და სულის მზიანობა არ მოგკლებოდეთ შემოდგომის მზით გაბრწყინებულ ტაძრისაკენ მიმავალ გზაზე.

ღმერთმა დაგლოცოთ, გახაროთ და გაბედნიეროთ.

ჩვენ კი გვიგულეთ თქვენი მეგობრობის მარადიულ სამსახურში.

საქართველოს იაკობ გოგებაშვილის პედაგოგთა კავშირის აჭარის რესპუბლიკური ორგანიზაციის, „საძმოსა“ და მეგობრების სახელით

ბიჭიკო დიასამიძე, აკაკი ზოიძე, ოთარ ფუტკარაძე, ოთარ ცეცხლაძე, თემურ გოგმაჩაძე, შოთა მახარაძე, რევაზ უზუნაძე, ზეგურ ავალიანი, თემურ ავალიანი, მერაბ ფუტკარაძე, მერაბ მეგრელიშვილი, დათო ბარათაშვილი, მარინა შალიკავა და პაატა არუშიძე.

ვულოცავთ

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობისა ფაკულტეტი (იურიდიულ მეცნიერებათა დეპარტამენტი) ულოცავს ფაკულტეტის რესურსცენტრის ბიბლიოთეკარს განათლებით ფილოლოგს — ქალბატონ რუსუდან თავბერიძეს 60 წლის იუბილეს, რომელიც 40 წლის განმავლობაში ეწევა პედაგოგიურ თუ საორგანიზაციო საქმიანობას.

ქალბატონი რუსუდანის კარიერა ბათუმის მეცხრე საჯარო სკოლაში დაიწყო. იგი ათეული წლებია ღირსეულად იცავს ჩვენი უნივერსიტეტის სახელს. ამ ხნის მანძილზე კი მან დაიმსახურა სტუდენტების სიყვარული და პატივისცემა.

ქალბატონო რუსუდან! ჩვენი ფაკულტეტის ყველა სტუდენტის სახელით გილოცავთ დაბადების დღეს და გისურვებთ წარმატებას, ჯანმრთელობას და ულევ სიხარულს. უფალმა დაგლოცოთ!

პატივისცემით სტუდენტები

იუბილეს ექო
იმედი მეტია, ვიდრე რეალობა

„იმედი ის მადლია, რაც ძალას აძლევს ადამიანს მიწიერი ყოფის განსაცდელთა დასაძლევად და ღმერთამდე ასამაღლებლად“.

ილია II

ყოველდღიურ ყოფით ცხოვრებაში, მასების ცნობიერების პოზიციებიდან, იქნებ შემოგვდავონ, როგორ შეიძლება იმედი მეტი იყოს, ვიდრე სინამდვილე. რისი რეალური შეძლებაც არ გვაქვს, რა იმედით უნდა შევებრძოლოთ დიდ სიძნელეებსა და წინააღმდეგობებს. მაგრამ მაღალი იდეალებით გულანთებული ადამიანები სწორედ დიდი იმედებით ცხოვრობენ. მათ იმედის შეგრძნება ყოველთვის მოუვლენს დამატებით იმპულსებს, რაც სასურველს რეალობად აქცევს.

იმედი ზნეობრივი გრძნობის ბადალი ფენომენია. დადგენილია, რომ ადამიანი ყოველთვის არ იქცევა ისე, როგორც იცის, რადგან ამ დროს ზნეობრივი გრძნობა დუმს. მაგრამ როცა ზნეობრივი გრძნობა ამუშავდება, ადამიანის ზნეობრივი ქცევის ფარგლებიც ფართოვდება. ასეთი ძალის მატარებელია იმედიც. იმედი ძალას ჰმატებს ზნეობრივი ქცევის აღმძვრელ ზნეობრივ გრძნობას და უფრო სრულყოფილს ხდის პიროვნებას.

ჭაბუა ამირეჯიბი იმედის მწერალია. გორა მბორგალმა (რომანი „გორა მბო რგალი“) იმედის ძალით დასძლია თითქმის შეუძლებელი. დასძლია სიცოცხლისათვის ხიფათებით სავსე ასობით კილომეტრიანი მანძილი და დრო. გორა მბორგალი შესაძლებლობათა ზღვარზე იღვწის, მაგრამ იმედი ძალებს უმრავლებს და მიზანს აღწევს.

იმედის ძალით ცხოვრობდა და იბრძოდა დათა თუთაშხია („დათა თუთაშხია“).

იმედის ფილოსოფიითაა დაწერილი მოთხრობა „ცოქალა“. ეს ფილოსოფია გამხელილია მოთხრობის დასაწყისშივე ჭიანჭველების ბუნაგის დაშლა-აღდგენის მეტაფორაში. „ახლა შუბლით დაენდო პაპა ლულაზე შემოღაგებულ ხელებს და ნიადაგს ჩახედა. ჭიანჭველები გასაოცარი სიმარდითა და მხნეობით ტრიალებდნენ (თოფის კონდახით) ჩანგრეულ საცხოვრებელში. ზოგი მიწის ნამცეცას მიარბენინებდა, ზოგიც ჩხირსა და ხმელ ბალახბულახს... სხვები საკვები მარაგის გადაადგილება-მოწესრიგებაში იყვნენ გართული. თოფის კონდახის საბედისწერო ნაკვალევი თითქმის მთლად დერეფნებით, გვირაბებით და ნაგებობებით ამოევსოთ ჭიანჭველებს და მათი დაუოკებელი ფუსფუსი, გარჯა ნათლად მოწმდა, რომ არ იყო ისეთი ნადგურისცემა, რომელიც მათ მხნეობას არ დაემარცხებინა და სიცოცხლე არ დაეფუძნებინა იქ, სადაც ნგრევა და სიკვდილი შემოიჭრა. ნგრევა შემთხვევა იყო მათთვის, შენებამარადისობა.

პაპამ თავი აიღო, კმაყოფილმა გაიღიმა და თბილისისაკენ ჩაუყვა დაღმართს“.

ახლა აღა-მაჰმად-ხანის მიერ დანგრეული თბილისის აღდგენის მაგალითზე განაგრძობს მწერალი იმედის შთაგონებას: „ამ მოედანზე ოქროს ვერძის გარდა, ერანელებს თითქმის ყველა შენობა დაეშალათ, ხე ფერფლად და ნახშირად, ჩანვა-კედლები ქვისა და აგურის ნალეწად. ძნელი გასაგები იყო, სად იწყებოდა ან თავდებოდა ესა თუ ის შენობა, ან რამდენი სახლი იდგა ამა თუ იმ გაყოლებაზე და, სახელდობრ, რომელ საზღვრებში იდო მოედანზე გამომავალი ქუჩები. სულ რამდენიმე დღის წინათ ხალხმრავალ, ჩინებული შენობებით შემოფარგლული მოედანი აგურის, კირქვის და დუღაბის ნამსხვრევებად იყო დაზვინული. მაგრამ თბილისი სიკვდილს არ აპირებდა. მოედანი ჭინჭველების ნაბუდარს ჰგავდა. ადამიანები მოძრაობდნენ, საქმიანობდნენ, წერაქვებსა და ძალაყინებს სცემდნენ. ზურგითა და საკაცეებით სამშენებლო მასალები მიმოჰქონდათ. ურმებსა სცლიდნენ. თბილისის მადლიანი განთიადი სიოს აქიქინებდა და რომელიღაც სამრეკლოზე სახელდახელოდ ატანილი ზარის რაკრაკი გამოცოცხლებული დედაქალაქის მაჯისცემას ითვლიდა“.

ეს არის ამ ვრცელი ნაწარმოების პრეპოზიციური ნაწილი და მკითხველს ამზადებს იმის ღრმა რწმენით, რომ გონიერი კაცის ცხოვრებაში იმედს სიკვდილი არ უწერია.

თუმცა ამ მოთხრობის ავტორი მკითხველს ბოდიშს უხდის ნაწარმოების უმწიფარობის გამო, მაგრამ „ცოქალა“ არ საჭიროებს შეღავათებს. მისი ავტორი თავის შემოქმედებითი ცხოვრების დასაწყისშივე საკმაოდ მძაფრ სიუჟეტიან თხზულებას სთავაზობდა მკითხველს. „ცოქალა“ დამუხტულია ძლიერი ეროვნული შეგნებით. მხედველობაში გვაქვს ნაწარმოებში შემოყვანილი რუსი სოვდაგარი, რომელიც ქართველების თავდადებულ მოწადინებას-აღადგინონ ერანელების მიერ დანგრეული თბილისი მაიმუნის შრომას ადარებს. ერთმა აგრესიულმა სამხრეთელმა მეზობელმა საქართველო დააქცია, მეორე, ჩრდილოელი მეზობელი დახმარების ნაცვლად, აღდგენის იმედს უკარგავს „ობოლ საქართველოს“. იმ პერიოდში, როცა „ცოქალა“ იწერებოდა, რუსეთის მიმართ ამგვარი იდეოლოგიით წერა გამორიცხული იყო. ჭაბუა ამირეჯიბი დინების წინააღმდეგ მიდის და ჭეშმარიტი დისიდენტის სულისკვეთებას შთააგონებდა მკითხველს.

საქართველოს ობლობის იდეას კარგად გამოხატავს ეპიზოდი, რომელშიც აღწერილია ქართველი კაცის თავდაუზოგავი შრომა დანგრეული თბილისის აღსადგენად. ქვეყანას მხოლოდ ეროვნული ენერგია აღადგენს და ააშენებს — იგულისხმება პაპას გულმოდგინებაში. რუსი სოვდაგრის წარმოდგენაში ქართველი პატრიოტის თავდაუზოგავი ზრუნვა მშობლიური ქალაქის აღდგე ნი სათ ვის მხოლოდ ირონიულ ღიმილს იწვევს რუს სოვდაგარში და თავს აქიცინებს იმ სიბრალულით, რომელსაც ჭკუიდან გადამცდარის მიმართ ამჟღავნებენ ხოლმე გესლიანი ადამიანები: „უბედური, — ფიქრობდა თითქოს იგი — არა, ერთი შეხედეთ, გეთაყვა, ამ გამოჩერჩეტებულ ბებრუხანას... მიათრევს და ჰგონია,... როგორც პაპაშენი არ ადგება საფლავიდან, ისე სიცოცხლე აღარ აღსდგება აქ, არა! თუ კიდევაც სული არ ამოგხდა, სანამ სამჭედლომდე მიათრევ მაგ გრდემლს, მოვლენ და ისევ წყალში გადაგიგდებენ, სამჭედლოს კენჭებად დაგიშლიან, მაგ რეგვენ თავსაც წაგაცლიან. 1მაიმუნის ჯაფას“ ეწევა, ღმერთმანი! ჰგავს კიდევაც მაიმუნს. თავის ამ ბრიყვულმა მიგნებამ საგრძნობლად გაამხიარულა ბრაგინი... და თავიც მეტის მხნეობით დააქიცინა“.

როგორც აღვნიშნეთ, ეს სტრიქონები საქართველოში რუსთა ბატონობის წლებში იწერებოდა. მაშინ მისი ხმამაღლა გაცხადება სიცოცხლის რისკთან იყო დაკავშირებული. იმხანად, საქართველოში ბატონობდა იდეოლოგია, რომლის მიხედვით „უფროსი ძმის“ რუსის გარეშე არსად არაფერი კეთდებოდა. მწერალმა ამხილა ეს მოჩვენებითი კეთილგანწყობა რუსისა საქართველოს მიმართ. მწერლის ღრმა რწმენით, ქვეყანას მხოლოდ ეროვნული ენერგია იხსნის დაღუპვისაგან, ხოლო, რაც შეეხება რუსისთანა მეზობელს, იგი საქართველოს ინტერესების დასაცავად თითზე თითს არ დააკარებს. როცა სხვათაშორის, იმ რუსული იდეოლოგიის ბატონობიდან მომდინარეობს შეხედულება, რომ აჭარა რუსის ძლევამოსილმა მხედრობამ გაათავისუფლა სამსაუკუნოვანი თურქული ბატონობისაგან და დაუბრუნა დედასაქართველოს. სინამდვილეში ეს იდეა არასდროს არ ჰქონია რუსეთს არც 1877-1878 წლების ომის დაწყებამდე და არც ამ ომის პერიოდში. 1878 წელს აჭარა მხოლოდ იმის გამო დათმო თურქეთმა, რომ მას არ შეეძლო რუსეთის სასარგებლოდ 150 მილიონი ოქროს გადახდა კონტრიბუციის სახით და მის ნაცვლად ტერიტორია დაუთმო, რომელიც აჭარას ეჭირა, კონტრიბუციის გადახდის პრობლემა რომ არ წამოჭრილიყო, რუსეთი კრინტს არ დასძრავდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგე ნისათვის. ეს არ იყო მის სამხედრო გეგმებში. აკი, 1918 წლის ბრესტლი ტოვსკის საზავო მოლაპარაკების დროს რუსეთმა ისე დაუთმო თურქეთს საქართველოს ტერიტორიები, რომ არაფერი უკითხავს იმ პერიოდში უკვე დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლებისათვის და ბათუმში თურქი ასკერები შემოვიდნენ. ახლა როცა საბჭოთა კავშირი აღარ არის და რუსის „უფროსი ძმობის“ იდეოლოგიაც წარსულს ჩაბარდა, საგნებს საკუთარი სახელები დაერქვა. რუსის „ძმობას“ მწერალმა და ისტორიკოსმა ლევან სანიკიძემ „ვაი რუსისაგან უწოდა“. მოთხრობაში „ცოქალა“ მწერალი ჭაბუა ამირეჯიბი კარგად შერჩეული დეტალებით და მეტაფორული აზროვნებით ამხელს რუსის მოჩვენებით ძმობას. ამის საუკეთესო მეტაფორული დეტალია მოხუცი პაპას დამოუკიდებელი, რუსეთის დაუხმარებლად ილაჯგამწყვეტი შრომა სამჭედლოში გრდემლის დაბრუნებისა და თავის ადგილზე დადგმი სათვის. სამჭედლო იმედია. სამჭედლოს აღდგენაში დანგრეული ქალაქის აღდგენის იდეა და იმედი იკითხება. მწერლის შეხედულებით, იმედი, როგორც ვნება, ადამიანის პიროვნების გარდამქმნელი და განმა ახლებელი ძალაა. იმედი გაუღვიძა დიღლიას ბავშვების მიერ აღდგენილი „დარბაზის“ ხილვამ, ხალხის თავგამოდებულმა და არსებითად შეცვალა მისი დამო კი დებულება მოვლენე ბისადმი: „შესცქეროდა სიცოცხლის დაფუძნების ზეიმს დიღლია. აღდგენის დაუოკებელი სული ძლევამოსილ მხედრულს აგრიალებდა და დიღლიამ ანაზდეულად იგრძნო მხნეობის მოზღვავება; იმდენად მძლავრი, დიდი მხნეობისა, რომ თუ დაუყოვნებლივ მოქმედებაში არ გადმოიღვრებოდა მისი მძაფრი შემოტევა-დენთივით აფეთქდებოდა მასშივე და ნაფლეთებად აქცევდა სულსაც და ხორცსაც“.

იმედის დიდი ძალა ისახება ცეცხლმოდებული თეატრის შენობიდან მაჩაბლის მიერ ჩანგისა და წარმოსასხამის გამოტანა-გადარჩენის ეპიზოდშიც. მარტო დიდი იმედის ძალას შეეძლო მაჩაბლის შეყვანა გაძლიერებული ცეცხლის სტიქიასთან ბრძოლაში. ეი, ეს ეპიზოდიც: „ანდრია მაჩაბელს შეჰყურებდა. უხაროდა, რომ საღსა და სალამათს ხედავდა თავის ძმაკაცს, სიკვდილსა და სიცოცხლეში ნაზიარევ ვაჟკაცს. ცეცხლმოდებული თეატრიდან გამოტანილი ჩანგით იღლიაში და წითელი მოსასხამით ხელში. ირგვლივ სიჩუმე ჩამოწვა, მხედრები აღტაცებით შეჰყურებდნენ მაჩაბელს. მსახიობს ზურგი შეექცია ხანძრისათვის. მისი შორეულ სივრცეებში გატყორცნილი თვალები უქრობ სასოებას და გაუტეხავ ცხოველმოსილებას აელვარებდნენ... იდგა იგი ამაყი, ღირსეული დედაქალაქის პირველი ჩანგი და უპირველესი რაინდი“ ასეთი ადამიანების ქვეყანას გადაშენება არ უწერია!

მოთხრობის ერთ-ერთი ძლიერი ეპიზოდია საბრძოლო ცეკვა „ხორუმის“ სურათი. მის პასაჟებში იკითხება რომანტიკაც, მისტიკაც, მაგრამ მკითხველს ზრდის საკუთარი ძალებისადმი რწმენის სულისკვეთებით. „ხორუმის“ შემოქმედი ხალხის დროებითი დამარცხება შეიძლება (მსოფლიო ისტორია არ იცნობს დაუმარცხებელ სახელმწიფოებს), მაგრამ შეუძლებელია მისი განადგურება.

მოთხრობა „ცოქალა“ სიყვარულის ჰიმნიცაა. თუმცა ნაწარმოებში პერსონაჟ ცოქალას შედარებით მცირე მონაკვეთი უჭირავს, მაგრამ იგი იმდენად სავსეა ადამიანური ღირსებებით და ემოციებით, რომ თითქოს ფარავს ყველა სხვა მოტივს და მოთხრობას სიყვარულის ჰიმნად წარმოგვიდგენს.

უაღრესად მჭევრმეტყველია ჭაბუა ამირეჯიბის ფრაზა. მაქსიმალური ეფექტიანობით გამოირჩევა მის ფრაზაში ჩასმული შედარება, ეპითეტი, მეტაფორა, ჰიპერბოლა. მწერლის დიდი ენერგია გამოსჭვივის მოვლენების აღწერაში. გულგრილად ვერ წაიკითხავთ ხანძარმოდებული თბილისის სურათებს. „დაჟინებით ეომებოდა ცეცხლი თეატრის თლილი ქვის კედლებს, სვეტებსა და თაღებს, მაგრამ კარგა ხანს ვერსად მოიკიდა ფეხი. გამთენიის ხანსღა ეკვეთა დგამს, კარ-ფანჯრებს, სახურავის მასალას და გული მოიოხა“. თეატრს ცეცხლი ეცვა, ცეცხლით სუნთქავდა. ხანძარს ვერაფერი მორეოდა“. ან კიდევ: „ელიზბარს სისხლმა მოასხა ყელში. მან ვეღარ შესძლო გულხელდაკრეფილი ემზირა, თუ როგორ სჭამდა ცეცხლი დედაქალაქის ერთ ერთ საუკეთესო ნაგებობათაგანს“.

ექსპრესიულობით გამოირჩევა ჭაბუა ამირეჯიბის შედარებები: „ქსელში გაბმულ მსხვერპლზე მიმავალ ობობას წააგავდა რუსი სოვდაგარი“.

გაუტეხავი ნებისყოფის მქონე პატრიოტის სახეს ხატავს ეს შედარება:

„ფოლადის ფირფიტასავით ბერიკაცი“, ან კიდევ: „ტყეში ხმაურზე განაბულ შველს ჰგავდა იგი“ „კვამლში მოყოლებული ძახილი შუბივით ეცა“ — იტყვის მწერალი შეყვარებულ ვაუზე, რომელსაც სატრფოსაგან სასურველი ხმა მოესმა ზურგს უკან.

ეს ეპითეტები ავსებს სურათს, წარმოსახვას უძლიერებს მკითხველს: „ცოქალას მომხიბლავი იერი მთლად ძახილი იყო და ანდამატი“ „პაპა, პაპილოშეჰყვირა ცოქალამ და მომდევნო წამში უკვე ურიცხვ კოცნას აყრიდა მოხუცის დანაოჭებულ ღაწვებს, თვალებს, წვერულვაშსა და კისერს“.

მოულოდნელობით არის აღსავსე შეყვარებული ვაჟის ანდრიას განცდების ამსახველი სურათი, რომელშიც თანაბარწილად იკითხება, როგორც დიდი ენერგია, ისე საოცარი მოკრძალება ქალის მიმართ: „ცოქალა?! ცოქალა! — შეჰყვირა ანდრიამ და გაშრა, გაირინდა. მერე ცოქალასაკენ გამოქანების სურვილი ეცა: ორიოდ ნაბიჯიც გადმოსდგა, მაგრამ ბუნებრივი მორცხვობის გარდა ხომ სხვა მიზეზიც არსებობდა თავის შესაკავებლად.

ადამიანის, ახალგაზრდა ვაჟკაცის, კეთილი გულის განუზომელი სიხარული კი გადაჭრით მოითხოვდა გადმოღვრას რაიმეში, თუნდაც უაზრო, ანგარიშმიუცემელ საქციელში და გადმოიღვარა კიდეც. ამოდენა ვაჟკაცი საკვირველი სიმსუბუქითა და სიმკვერცხლით მოაფრინდა თეთრონს. უნაგირს რიგიანად არც კი ჩაეკრა, რომ კეხს ხელები ჩასჭიდა, ყირა ამართა და იქედან ლურჯას უნაგირში ჩაეშვა მდოვრედ. ახლა ლურჯას უნაგირიდან ისკუპა, ორთავე ცხენს გადაევლო და იმავე ადგილზე დაქვეითდა, საიდანაც დაიწყო სიხარულის ამგვარი საშუალებით გამოხატვა“.

ასევე ორიგინალური სტილით არის აღწერილი შეყვარებული წყვილის პირისპირ შეხვედრით გამოწვეული განცდები: „ანდრიას, დიდი სიხარულით შეპყრობილს, ცოქალასთვის უფეთქავდა გული და როდესაც ანდრიამ ნაზი, ტრფობით აღსავსე ალერსი დაუწყო თეთრონს, თითქოს იგრძნო ცოქალამ, ვისაც ეკუთ ვნოდა ეს ალერსი. ეუხერხულა ქალიშვილს, თვალი აარიდა, მიწას ჩააშტერდა, მაგრამ მისი დგომა, სუნთქვა, დარცხვენილი სახე, ყველაფერი, რაც მასში იყო, ამ სიხარულთან და ალერსთან იყო შერწყმული. იგი ანდრიას მკლავებში, მის მკერდში გრძნობდა თავს და ტანში სასიამოვნო თბილი ჟრუელა უვლიდა!“

ასე, ჭეშმარიტად ოსტატები წერენ!

ფრაზის მაღალი კულტურის სილამაზე სიამოვნებას გვრის მკითხველს, ფრაზას განსაკუთრებით ზმნების სიმრავლე აძლევს სილბოს, ნათელს და გამჭირვალეს ხდის აზრისა და ფიქრის მდინარებას. ასე მაგალითად, „ელიზბარმა აბანოთუბანს გადახედა, ნარფუხზე გადაავლო თვალი, ნარიყალა მოათვალიერა და დაფიქრდა“. ან: „სამფეხა სკამი მოძებნა, ბუხარს მიუდგა, ჩამოჯდა. ჩხირები და ფიჩხი მოუწყო. ტალკვესი ამოიღო, დაკვესა და პატრუქი მოუმარჯვა. დიდხანს უბერა გრძელი, მძლავრი შებერვებით და ხმელა ჩხირებს ალი შეუჩინა როგორც იყო. მაშინ პატრუქი დააქრო და ჩააბრუნა“. ნათელ სურათს წარმოდგიდგენს მწერალი, როცა დილის ნამდაპკურებულ ყლორტს მეტაფორით ხატავს იმედს: „კუნძის ძირიდან მძლავრად ამოხეთქილი ყლორტი ირხეოდა ნიავზე. უძლეველი ცხოველმოსილება ბუდობდა მის სათუთ ფოთლებსა და მერქანში. ამ უსუსურს განუზომელი თვითრწმენა, ნაყოფიერების მტკიცე, ჯიუტი სურვილი დაჰყოლოდა და მისი ყოჩაღი იერი ეჭვმიუტანელ წარმატებას ღაღადებდა. ალიონის ნამი უხვად ეყარა ყლორტს. ცოქალამ ხელი აატარა ყლორტზე, ხელისგულზე ნამი აიკრიფა და ცივი ცვარით მოსველებული ხელი შუბლზე მიიდო“.

მოულოდნელი პასაჟებია წარმოსახული, ერთი შეხედვით, მარტივ, მაგრამ გრძნობებით სავსე წინადადებებში: „სევდამ დაუმშვენა სახე“, „იგი გაღმა ნაპირს გაჰბღვერდა“, „ცალთვალას გაყინული გუგა შემომიზნებოდა ქვევიდან“.

ამ პასაჟებში, გარდა იმისა, რომ მწერლის თვალით დანახული საგნები და სიტუაციები გვხიბლავს, მათში აგრეთვე ვხედავთ სიტყვის შესაძლებლობების მაქსიმუმს: გაყინული გუგა შემომიზნებოდა ქვევიდან“, „გაღმა ნაპირს გაჰბღვერდა“, „ხმელა ჩხირებს ალი შეუჩინა“, „ალიონის ნამი უხვად ეყარა ყლორტს“, „ხელის გულზე ნამი აიკრიფა“, „ძვირფასი ადამიანების ამოტაცება სურდა სივრციდან“, „ავი ამბის მოლოდინი გაწვა მის სახეზე“, „ჩაწერტილებული და მძლავრი იყო მისი მზერა“, „თეატრს ცეცხლი ეცვა“.

ჭაბუა ამირეჯიბის მოთხრობა „ცოქალა“ გადაურჩა არა მხოლოდ ჩეკას, როგორც გვაუწყებს მწერალი, არამედ გაუძღო დროსაც. იგი დაიწერა რამდენიმე ათეული წლის წინ, მაგრამ იკითხება როგორც თანამედროვე მკითხველის ზნეობრივი სიწმინდისა და ესთეტიკური გემოვნების წრთობის ქმნილება.

გიორგი (ბური) ბიგილეიშვილი

მინდა, რომ წარმატებული ადვოკატი ვიყო...

დავით ანანაძე ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის სპეციალობის მეორე კურსზე სწავლობს. იგი აქტიურ სტუდენტურ ცხოვრებას ეწევა. მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის და სოციალურ მეცნიერებათა ინსტიტუტის მიერ გამოცხადებულ ესსეს კონკურსში მეორე ადგილი დაიკავა. დავითი თექვსმეტ გამოვლენილ გამარჯვებულს შორის ერთ-ერთია. კონკურსის ჩატარების შესახებ უნივერსიტეტში გაიგო. „პოლიტიკური პარტიები და საზოგადოება“ — დავითის საკონკურსო ესსეს სათაურია.

— 2010 წელს წარმატებით დავასრულე ქედის საჯარო სკოლა. იმავე წელს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე ჩავირიცხე.

— დავით, ხშირად იღებთ ხოლმე კონკურსებში მონაწილეობას?

— რა თქმა უნდა. ეს პირველი კონკურსი არ არის, რომელშიც მონაწილეობა მივიღე და გავიმარჯვე. ვაქტიურობდი მოსწავლე-ახალგაზრდობის რესპუბლიკურ კონფერენციებზეც, სადაც ორჯერ პირველი და ერთხელ მეორე ხარისხის დიპლომით დამაჯილდოვეს. რამდენიმე დღის წინ, სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრის მიერ ორგანიზებულ კონკურსშიც მივიღე მონაწილეობა და მესამე ადგილი დავიკავე, რამაც საშუალება მომცა ავტომატურად გავიდე მაისის თვეში დაგეგმილ სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე. სხვადასხვა სახის უამრავ კონკურსში მიღებული მონაწილეობიდან ეს გახლავთ ბოლო, თუმცა გაჩერებას არ ვაპირებ და კვლავაც აქტიურად ვგეგმავ სტუდენტური ცხოვრების გაგრძელებას.

— საიდან გაიგეთ კონკურსის შესახებ და რამ გადაგაწყვეტინათ მონაწილეობის მიღება?

— ჩვენს უნივერსიტეტში ჩამოსული გახლდათ მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის წარმომადგენლები, რომლებმაც გვაუწყეს კონკურსის შესახებ და საკონკურსო თემის ირგვლივ სემინარი ჩაგვიტარეს. კონკურსის თემა იყო სამოქალაქო საზოგადოების განვითარება. მოკლედ, მე თუ ვარ საქართველოს მოქალაქე და გული შემტკივა მასზე, საჭიროდ მივიჩნიე მიმეღო მონაწილეობა, ასე ვთქვათ მოქალაქეობრივი ვალი მომეხადა საზოგადოების წინაშე. თუმცა ეს ერთადერთი მიზეზი არ ყოფილა. ჩემი აქტიური ხასიათიდან გამომდინარე, მიყვარს საკუთარი თავის გამოცდა. ამიტომაც ჩავერთე პროგრამაში და წარმატებასაც მივაღწიე.

— როგორ ფიქრობთ, რამ გახადა აღნიშნულ თემაზე კონკურსის გამოცხადება აქტუალური?

— მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის (თბილისი) და სოციალურ მეცნიერებათა ინსტიტუტის (ჰააგა) მიერ გამოცხადებული კონკურსის მთავრი მიზანი იყო საზოგადოების გამოცოცხლება სამოქალაქო განვითარების თვალსაზრისით, თუ როგორ იცნობენ, როგორ არიან ჩახედულები ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის საკითხებში. კონკურსი არ იყო გათვლილი მხოლოდ სტუდენტებზე, მასში მონაწილეობა შეზღუდული არ ყოფილა რითაც ორგანიზატორებს სურდათ დაედგინათ საზოგადოებრივი განვითარების დონე. სწორედ საკითხის აქტუალობა გამოიწვია საზოგადოების ნაკლებად აქტიურობამ.

— „პოლიტიკური პარტიები და საზოგადოება“ თქვენი საკონკურსო ესსეა. რატომ აირჩიეთ ეს საკითხი?

— უპირველეს ყოვლისა თემის აქტუალობა იყო მიზეზი, რამაც გადამაწყვეტინა მასზე მუშაობა. კონკურსი არ ზღუდავდა მონაწილეს თემატიკის არჩევაში, მთავარი იყო პროგრამის ფარგლებს არ გადავცილებოდით. ჩვენი დღევანდელობიდან გამომდინარე, უბრალოდ შეუძლებელია გვერდი ავუაროთ ამ საკითხს. ფეხის ყოველ ნაბიჯზე თუ სხვადასხვა მედიასაშუალებაში, გამუდმებით პოლიტიკაზეა საუბარი. ამიტომაც თემად აქტუალური საკითხი ავირჩიე და ესსეს ფორმატის თანახმად, შევეცადე მოკლედ მესაუბრა პრობლემებსა და მისი გადაჭრის გზებზე.

— მეორე ადგილზე გასული სტუდენტისთვის ჯილდო რა იყო?

— გადმომცეს ფულადი პრიზი — 150 ლარის ოდენობით და ასევე მივიღე მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიის უნივერსიტეტის მიერ გამოცემული პუბლიკაციები — სულ 15 წიგნი გადმომცეს საჩუქრად.

— კონკრეტულად რას ეხება თქვენი ესსე?

პოლიტიკური პარტიები და საზოგადოება — როგორც სათაურიდან ჩანს, ეს არის საზოგადოებისა და პოლიტიკური პარტიების ურთიერთდამოკიდებულება, ანუ რამდენად იცნობს საზოგადოება პოლიტიკურ პარტიებს და რამდენად იცნობს თვით პარტიები საზოგადოებას.

საქართველოში პარტიათა სისტემა სუსტადაა ინსტიტუციონალიზებული. პარტიები, ძირითადად, მათი ლიდერების ან ლიდერთა ჯგუფის პიროვნულ თვისებებზე არიან დამოკიდებულნი. ისინი ერთმანეთს საზოგადოებრივ სფეროში გავლენის მოსაპოვებლად ეჯიბრებიან. თუმცა ქართულ საზოგადოებასა და პოლიტიკურ სისტემას შორის კავშირი ამჟამად არც ისე ძლიერია, რაც პოლიტიკური პარტიების, სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფებისა და პროფესიული კავშირების სისუსტით არის გამოწვეული. მოქალაქეთა პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობისა და აქტიურობის საერთო დონე დაბალია და ძალზე ცოტაა (თუ საერთოდ არის) ისეთი გაერთიანება ან ინტერესთა ჯგუფი, რომელსაც ფართო საზოგადოებასა და პოლიტიკურ სისტემას შორის შუამავლის როლის შესრულება შეუძლია.

თემაზე მუშაობისას გაცნობილი მასალებიდან გამომდინარე ერთ დასკვნამდე მივედი — პოლიტიკურ პარტიათა და საზოგადოების ურთიერთობის სისტემის გასავითარებლად საჭიროა შემუშავდეს ნათელი და სტრატეგიული სისტემა; ახლებურად შეფასდეს საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიციის მნიშვნელობა; ჰქონდეთ ურთიერთთანამშრომლობა; აუცილებელია პიროვნული კონკურენციიდან პოლიტიკურ კონკურენციაზე გადასვლა.

— რამდენად აქტიური სტუდენტი ხართ?

— აქტიურობას უნივერსიტეტში მოსვლის პირველივე დღიდან არ ვუჩივი. გარკვეული დროის განმავლობაში უნივერსიტეტის სტუდენტურ თვითმმართველობაში განათლების დეპარტამენტის თავმჯდომარე ვიყავი. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ საკმაოდ აქტიური სტუდენტი ვარ.

— როგორ შეაფასებდი დღევანდელ სტუდენტურ ცხოვრებას?

— ჩემი სუბიექტური აზრია, რომ დღესდღეისობით მთლად აქტიური სტუდენტური გარემო არ სუფევს, თუმცა გამოფხიზლების ტენდენციები შეიმჩნევა, მაგალითისთვის, პირველკურსელები ავიღოთ. საკმაოდ აქტიური თაობა მოდის, უკვე სამეცნიერო კონკურსებში ღებულობენ მონაწილეობას და დიდი ამბიციებიც აქვთ, ამიტომ მათ წარმატებებს ვუსურვებ. მინდა აღვნიშნო, რომ სტუდენტური ცხოვრების გააქტიურებაზე თვითმმართველობამ უფრო დიდი ყურადღება უნდა გამოიჩინოს, ახალი წევრებისგან დაკომპლექტებული თვითმმართველობა ამას უკვე ცდილობს, რაც ძალიამ მახარებს. რა თქმა უნდა, ყველაფრისთვის დრო არის საჭირო და უცებ არაფერი კეთდება.

— სამომავლოდ სად წარმოგიდგენიათ საკუთარი თავი?

— სამართალმცოდნეობის სპეციალობის II კურსის სტუდენტი ვარ და რა თქმა უნდა, სამომავლოდ მინდა, რომ წარმატებული ადვოკატი ვიყო. ვერ ვიტყვი ბავშვობიდან ამ სპეციალობაზე ვოცნებობდი მეთქი, მაგრამ რაც ამ სფეროში მოვხვდი, ძალიან შემიყვარდა ეს გარემო, საქმიანობა. ძალიან კარგი, აქტიური იურისტთა თაობა მოდის და რა თქმა უნდა, მათ წარმატებებს ვუსურვებ.

ბათუმის II საერთაშორისო სიმპოზიუმი ლექსიკოგრაფიაში

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა ბათუმის II საერთაშორისო სიმპოზიუმი ლექსიკოგრაფიაში. სამდღიანი სიმპოზიუმის მუშაობაში ჩართული არიან საქართველოს თითქმის ყველა უნივერსიტეტისა და სამეცნიერო ცენტრის წარმომადგენლები, ცნობილი მეცნიერები, ლექსიკოგრაფები იტალიიდან, გერმანიიდან, ჰოლანდიიდან, ისრაელიდან, შვედეთიდან, პორტუგალიიდან, ლატვიიდან, ლიტვიდან, რუსეთიდან და უკრაინიდან. ხუთი სექციის მიმართულებით 150-მდე მოხსენება იქნება წარმოდგენილი ლექსიკოგრაფიის აქტუალურ საკითხებზე. სიმპოზიუმის ფარგლებში საჯარო ლექციებს წაიკითხავენ ცნობილი ქართველი და უცხოელი ლექსიკოგრაფები, გაიმართება დისკუსია მრგვალ მაგიდასთან თემაზე: „ელექტრონული კორპუსები და მათი გამოყენების პერსპექტივები ქართულ ლექსიკოგრაფიაში“.

სიმპოზიუმის მიზანია:

• მოაწყოს დასრულებული და მიმდინარე ლექსიკოგრაფიული პროექტების პრეზენტაცია, გამოცემული ლექსიკონების გამოფენა, ელექტრონული და ონლაინ-ლექსიკონების დემონსტრირება, ახალი იდეების აპრობაცია;

• შეაფასოს ელექტრონული ბაზების შექმნის მიმდინარეობა საქართველოში და მისი გამოყენების პერსპექტივები ქართულ ლექსიკოგრაფიაში;

• განსაზღვროს ლექსიკოგრაფიის შემდგომი განვითარების სტრატეგია და შეიმუშაოს რეკომენდაციები ლექსიკოგრაფიის ეროვნული პროგრამის შექმნისათვის საქართველოში;

• ხელი შეუწყოს ახალი ტიპის ლექსიკონების დანერგვას საქართველოში;

• ხელი შეუწყოს ქართული ლექსიკოგრაფიის ისტორიის საკითხების კვლევას;

• უშუალო დიალოგის შესაძლებლობა მისცეს პროფესიონალ ლექსიკოგრაფებს, პრაქტიკული ლექსიკოგრაფიისა და ლექსიკოლოგიის უახლესი პრობლემების მკვლევრებს, კორპუსზე მომუშავე სპეციალისტებს, გამომცემლებს, ელექტრონულ და ონლაინ-ლექსიკონებზე, ელექტრონულ ბაზებზე მომუშავე პროგრამისტებსა და, ზოგადად, ლექსიკოგრაფია-ლექსიკოლოგიით დაინტერესებულ პირებს.

2010 წელს ბათუმში პირველი ლექსიკოგრაფიული სიმპოზიუმის წარმატებით ჩატარების ლოგიკურ შედეგად უნდა ჩაითვალოს მომდევნო სიმპოზიუმის მონაწილეთა გეოგრაფიის მნიშვნელოვანი გაფართოება (საზღვარგარეთის 10 ქვეყნის მონაწილეობა), რაც მეტყველებს ლექსიკოგრაფიის საკითხებისადმი აშკარად მზარდ ინტერესს. ეს კი საწინდარია ჩვენს ქვეყანაში ამ დარგის ინტენსიური განვითარებისა და იმედისმომცემი პერსპექტივებისა.

ბათუმის წლევანდელ სიმპოზიუმს ლექსიკოგრაფიაში საეტაპო მნიშვნელობას სძენს ლექსიკოგრაფიის სახელმწიფო კომისიის შექმნა, რომელსაც დაევალა ლექსიკოგრაფიის ეროვნული პროგრამის შექმნა. ივარაუდება, რომ კომისია დასახავს კონკრეტულ ამოცანებს ამ მიმართულებით გეგმაზომიერი და მიზანმიმართული მუშაობის გასაშლელად.

სიმპოზიუმის ორგანიზატორები არიან:

• ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტი;

• თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი;

• ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექსიკოგრაფიული ცენტრი.

• შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი

პროფესორ შოთა მამულაძის 60 წლის იუბილე



როდესაც ნამდვილ და კეთილშობილ კაცზე ლაპარაკობ, ხშირად დგება მომენტი, როცა ან გონება გღალატობს, ან კიდევ დრო არ გყოფნის, რომ სათანადო სიტყვები გამონახო და გულწრფელად მოეფერო ადამიანს, რომელსაც ძალიან აფასებ და უფრო მეტიც, ახლობელ ადამიანად მიიჩნევ. ზუსტად ასეთი მომენტი დგას ახლა ჩვენს წინაშე!

გვეამაყება, რომ იმ ადამიანთა რიგს მივეკუთვნებით, რომლებიც უკვე რამდენიმე წელია ვიცნობთ ბატონ შოთა მამულაძეს და მის თანამედროვედ ვითვლებით. მასთან ურთიერთობა ჩვენთვის ყოველთვის ტკბილად გასახსენებელია. პირველი შეხვედრა იყო 2005 წელს, როცა შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორიის სპეციალობის სტუდენტებს საქართველოს ისტორიის კურსს გვიკითხავდა უკვე კარგად ცნობილი და სახელმოხვეჭილი პროფესორი შოთა მამულაძე.

ნათქვამია: ,,ჭკვიან კაცს ისე თავმდაბლად უჭირავს თავი, თითქოს თვითონ კი არ ასწავლის სხვას, არამედ სხვისგან სწავლობსო“.... ბატონი შოთაც ძალიან უბრალო და მეგობრულია ურთიერთობისას და მოსაუბრეს იმდენად უწევს ანგარიშს და ისეთი მოწიწებითა და პატივისცემით ეპყრობა, რომ ძნელია არ დაინახო ეს... ასე იყო ჩვენს შემთხვევაშიც. ადამიანები, რომელთა ბიოგრაფიებიც მხოლოდ სახელისა და გვარის მეტს არაფერს შეიცავდა, გავხვდით მისი საუკეთესო სტუდენტები და ბატონი შოთაც არაერთხელ იყო ჩვენი სამეცნიერო ნაშრომების ხელმძღვანელი, რომლებმაც სხვათაშორის ბევრჯერ მოიპოვა წარმატება.

ბატონი შოთა ყველა სხვა ღირსებასთან ერთად იმითაც არის გამორჩეული, რომ გახლავთ კარგი მეოჯახე და ჰყავს ბრწყინვალე ოჯახი.

დიდია ბატონი შოთას დამსახურება და ღვაწლი. ჩვენ კი ჩვენი მხრიდან მადლობელი ვართ უფლის, რომ მოგვეცა საშუალება ახლოს გაგვეცნო პროფესორი შოთა მამულაძე.

გილოცავთ ბატონო შოთა 60 წლის იუბილეს. დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და წარმატებულ მოღვაწეობას გისურვებთ

მუდამ თქვენი: **გურამ ჩხატარაშვილი** და **კახაბერ ქამადაძე**

ფაშიზმი კაცობრიობის მტერია

სამოცდაშვიდი წელი გვაშორებს ფაშიზმზე კაცობრიობის ძლევამოსილი გამარჯვების ისტორიული დღიდან.

1945 წლის 9 მაისი გახდა სიხარულის, აღტაცების, ბედნიერების, დიადი და ისტორიული გამარჯვების დღე, მიუხედავად იმისა, რომ ამას დასჭირდა უზარმაზარი მსხვერპლი — 50 მილიონზე მეტი, აქედან 20 მილიონი საბჭოთა ადამიანის სიცოცხლე და კიდევ უფრო მეტი სიცოცხლის დასახიჩრება, ეს დღე მაინც სიხარულთან, გამარჯვებასთან ასოცირდება.

პირველ მსოფლიო ომში დამარცხებული გერმანია აღდგა, ძალა მოიკრიბა, დაადგა რევანშისტულ გზას. მისი ეს მისწრაფება უფრო გაძლიერდა მეოცე საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისიდან ხელისუფლების სათავეში ჰიტლერის მეთაურობით ფაშისტური პარტიის მოსვლით.

ფაშისტური გერმანიის, იმპერიალისტური იაპონიისა და მილიტარისტული იტალიის დაახლოებით გაჩნდა ომის კერები მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში. მათ პირისპირ აღმოჩნდნენ ინგლისი, საფრანგეთი, აშშ. ჩამოყალიბდა ორი ურთიერთდაპირისპირებული აგრესიული ბლოკი, რომელთაც, გარდა კერძო ინტერესებისა ბლოკებს შიგნით, ჰქონდათ საერთო მიზანიც — ახალი ტიპის სახელმწიფოს- სსრ კავშირის, როგორც მათი საკუთარი მიზნების განხორციელების გზაზე დამაბრკოლებელი ძალის მოსპობა.

ბლოკებს გარეთ მყოფი სსრ კავშირი კომინტერნთან ერთად იბრძოდა აგრესიული ძალების წინააღმდეგ მშვიდობის დაცვისა და განმტკიცებისათვის.

შორსგამიზნული გეგმების განსახორციელებლად ჰიტლერმა საბჭოთა კავშირთან 10 წლის ვადით გააფორმა თავდაუსხმელობის ხელშეკრულება. საბჭოთა კავშირმა ხელი მოაწერა ხელშეკრულებას იმ მიზნით, რომ უნდოდა დროის მოგება ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განსამტკიცებლად.

ჰიტლერმა 1939 წლის 1 სექტემბერს პოლონეთში შეჭრით გააჩაღა მეორე მსოფლიო ომი, დაიპყრო ევროპის სახელმწიფოები და მოადგა საბჭოთა საზღვრებს. „თუ რუსეთს დროზე არ დავესხმით თავს, — ამბობდა ჰიტლერი, — იგი უძლეველი გახდება. სტალინმა უზარმაზარი იმპერია შექმნა. იგი უდიდესი ადამიანია ისტორიაში. მასთან ბრძოლა მხოლოდ მე შემიძლია. ჩვენ ორნი ვწყვეტთ მსოფლიოს ბედს (ინგლისი, აშშ, საფრანგეთი, ადვილად მოსანელებელ ლუკმად მიაჩნდა ავტორი). ან ის მომერევა, ან მე მოვერევი მას, სხვა გზა არ არის“ — დასძენდა თავის განაზრახში ღრმად დარწმუნებული ჰიტლერი.

ჰიტლერი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის დაწყებას გეგმავდა 1941 წლის დასაწყისში, მაგრამ სტალინმა ეს გეგმა დიპლომატიური გზით ჩაუშალა.

2005 წელს გამოქვეყნდა სტალინის პირადი დაცვის უფროსის მოადგილის, მიხეილ თევდორაძის „პოლიტიკური მემუარები“, რომლიდანაც ჩანს, რომ საბჭოთა დიპლომატიამ ხელ-ფეხი შეუკრა გერმანიას და აიძულა ომის დაწყება გადაედო 4 თვით მაინც. ეს დრო კი სტალინმა გამოიყენა ქვეყნის სასარგებლოდ.

სტალინმა იცოდა პირადი შეხვედრებისა და ურთიერთობების სასიკეთო მნიშვნელობა და ხშირად ერთი ერთზე ხვდებოდა, როგორც თანამოაზრეებს, ასევე ოპონენტებს. იგი ცდილობდა გერმანიასა და მის მოკავშირეებს შორის ბზარი შეეტანა, ან დაესუსტებინა ისე, რომ მოკავშირეთა მყარი იმედები გაცრუებოდა ჰიტლერს, ე.ი. თუ შეძლებდა გერმანიის უცხო არმიების მშვიდობიანად განეიტრალებას, მაშინ მოსალოდნელ ომში გერმანელების დაძლევა ადვილი იქნებოდა. ამასთან დაკავშირებით მიხეილ თევდორაძე (სტალინთან კუნძულ პალმაზე შეხვედრების თანამონაწილე) წერს: „1941 წლის იანვრის ბოლოს სტალინმა მოლოტოვსა და ბერიას ერთდროულად დაავალა, თავიანთი არხებით ნიადაგი მოესინჯათ იტალიასა და ესპანეთში, გაეგოთ ამ ქვეყნების პირველი პირების განწყობა საბჭოთა ლიდერის მიმართ. მოსულინიც და ფრანკოც დათანხმდნენ სტალინთან შეხვედრაზე ხმელთაშუა ზღვაში, კუნძულ პალმაზე (ესპანეთის მფლობელობაში იყო), ოღონდ სრულიად საიდუმლოდ.

25 თებერვალს სტალინი ჩავიდა კუნძულზე. მოეწყო 5 შეხვედრა. საბჭოთა უშიშროებამ გადაიღო 16-საათიანი მასალა ფირზე. ის სამ ნაწილად დაამუშავა და ნაწილ-ნაწილ შეუგდეს გერმანიის დაზვერვას. როცა ჰიტლერი გაეცნო მასალას, როგორც სტალინი ვარაუდობდა, მას ეპილეფსიური კანკალი აუტყდა, უჩვეულოდ ახმაურდა. საზარელი ამბავი დატრიალდა სახელმწიფო კანცელარიაში.

როცა ჰიტლერი დააწყნარეს... დაამშვიდეს, რიბენტროფთან (საგარეო საქმეთა მინისტრი) სამსაათიანი შეხვედრის შემდეგ სამხედრო ხემძღვანელებთან თათბირზე გადაწყდა გერმანიის შემტევი არმიების უცხოური შენაერთების მოხსნა. არმიის რეორგანიზაციისათვის კი საჭირო იყო საკმაო დიდი თანხა და დრო, ამან გამოიწვია ომის გადადება 4 თვით.

შეხვედრის ჩატარება და ისიც საიდუმლოდ იყო სტალინის დიპლომატიური გამარჯვება ადოლფ ჰიტლერზე, ჯერ კიდევ მათ შორის ომის დაწყებამდე.

1941 წლის 22 ივნისს ფაშისტურმა გერმანიამ, ვერაგულად, ომის გამოუცხადებლად, თავს დაესხა საბჭოთა კავშირს. ჰიტლერს უნდოდა („ბარბაროსას გეგმის“ თანახმად) საბჭოთა კავშირის განადგურება 1941 წლის გაზამთრებამდე.

საბჭოთა ქვეყანა ომში ჩაება. მშვიდობიანი ცხოვრება შეიცვალა საომარი მდგომარეობით. ქვეყნის ეკონომიკა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება სამხედრო ყაიდაზე გარდაიქმნა. თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ 1941 წლის 3 ივლისს რადიოთი გამოსვლისას მოსახლეობას გააცნო ომიანობის პირობების ამოცანები. გამოსვლა ოპტიმისტური სიტყვებით დასასრულა: „მტერი ძლიერია, მაგრამ ჩვენ მას დავამარცხებთ, გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება!“

ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, სხვებთან ერთად, აქტიურად ჩაება საქართველო: 700 000-ზე მეტი მოქალაქე ჩადგა სამშობლოს დამცველთა რიგებში, მათ შორის 16 ათასამდე მანდილოსანი. 165 მებრძოლი საბჭოთა კავშირის გმირი გახდა. ფრონტზე დაიღუპა თუ უგზოუკვლოდ დაიკარგა 163 311 კაცი (გაწვეულთა 23.3 %), მათგან ქართველი 117 031 კაცი, (დაღუპულთა 66%), სხვა ეროვნებისანი — 46 293 კაცი (ბოლო მონაცემები).

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკიდან ომში წავიდა 25 ათასამდე კაცი, მათგან 942 ქალი. 12 მებრძოლი გახდა საბჭოთა კავშირის გმირი. ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის 26 ლექტორ-მასწავლებელი და 232 სტუდენტი წავიდა ფრონტზე. ადგილზე დარჩენილები სასწავლო პროცესის შემდეგ თავდაცვის ღონისძიებებში მონაწილეობდნენ, ეხმარებოდნენ ფრონტს, რითაც შეეძლოთ.

ქალაქ ვინიცამდე მოსულმა და გამარჯვების გარდუვალობაში ღრმად დარწმუნებულმა ჰიტლერმა სტალინს გამოუგზავნა ქება-გამაფრთხილებელი ტონით დაწყებული და კატეგორიული თუ მუქარის გრძნობით დამთავრებული დეპეშა: „მე დიდად ვაფასებ თქვენ მხედარმთავრულ ნიჭსა და გამბედაობას, მაგრამ თქვენ ქართველი ბრძანდებით და გირჩევთ, გადახვიდეთ საქართველოში, სადაც ამიერიდან იმეფებთ თქვენ და თქვენი მთელი მემკვიდრეობაც. თუ თქვენ ჩემს კეთილ რჩევას არ მიიღებთ, თქვენ თავს დააბრალეთ. მოვდივარ ცეცხლითადა მახვილით. მოსკოვს სულ რაღაც ორმცი კილომეტრით მაშორებს. ადოლფ ჰიტლერი. 1942 წ. 2 იანვარი“.

„— დიახ, მე ქართველი ვარ! —წერს საპასუხო დეპეშაში სტალინი. დიდად გმადლობთ დაფასებისთვის. დიახ, მე ქართველი ვარ, მაგრამ გამზარდა რუსმა ერმა, ჩვენში არსებული წეს-ჩვეულების მიხედვით მე არ მაქვს უფლება, რომ მივატოვო ჩემი გამზრდელი ერი და განსაცდელის ჟამს გავექცე. დამელოდე ბერლინში. იოსებ სტალინი, 1942 წ. 12 იანვარი“.

მართლაცდა ამ ორთაბრძოლაში წყდებოდა არა მარტო საბჭოთა კავშიურის ყოფნა-არყოფნის, არამედ კაცობრიობის ბედი. ჰიტლერის გამარჯვება ნიშნავდა მის ბატონობას მსოფლიოზე, სტალინის გამარჯვება — კაცობრიობის გადარჩენას ფაშიზმის მონობისაგან.

რა საფრთხეს უქმნის ფაშიზმი კაცობრიობას?

ამასთან დაკავშირებით მოვუსმინოთ მსოფლოში ცნობილ ექიმ-ფსიქიატრს (ქართულ, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ, ჩეხურ, პოლონურ და ფრანგულ ენებზე დაწერილი 320 სამეცნიერო ნაშრომის, მათგან 18 მონოგრაფიის, ავტორს, დიდი სამამულო ომის მონაწილეს, აკადემიკოს შოთა გამყრელიძეს, რომელიც გაზ. „საქართველო და მსოფლიოს კორესპოდენტის კითხვებზე იძლევა პასუხებს: კითხვა: „ომის მონაწილე დიდი დონის პიროვნება, ამ ომის მთავარი ფიგურა იყო სტალინი. თქვენეული შეფასება როგორი იქნება? პასუხი: მე ახალს ვერაფერს ვიტყვი. სტალინი, თუ მას არა კონფორმისტული, არამედ ობიექტური ხედვით შევაფასებთ, იყო კაცობრიობის ისტორიაში მასშტაბური პოლიტიკური და სამხედრო ფიგურა. აქედან გამომდინარე, ჩემთვის სტალინის ქართველობა საამაყოა — დასძენს ბატონი აკადემიკოსი. კითხვა: ფაშშიზმს თქვენ პირადად იცნობთ, რადგან იარაღით ხელში ებრძოდით. საინტერესოა ფსიქიატრიული კუთხით როგორ შეაფასებთ, როგორც მოძღვრებას? პასუხი: ფაშისტებმა, პირველებმა, მოინდომეს ადამიანთა გენეტიკური სტრუქტურის შეცვლა. ისინი ამ დროს არც ენერგიას და არც თანხას არ იშურებდნენ ადამიანთა მასობრივი გაიდიოტების საშუალებების შესაქმნელად. განსაკუთრებულ საშიშროებას წარმოადგენდა ქიმიური საშუალებები, რადგან ისინი პირდაპირ აზიარებს ადამიანის ფსიქიკას და ანადგურებს მის ნერვულ სისტემას. კითხვა: კაცობრიობის რომელი ნაწილის გაიდიოტებას ცდილობენ ფაშისტები და რა იგულისხმებოდა ამ გაიდიოტებაში? პასუხი: გერმანელი ფაშისტები კაცობრიობას ბატონებად და მონებად ყოფდნენ. ბატონებში ისინი თვლიდნენ მარტო გერმანულ რასას, ხოლო მონებში ყველა დანარჩენს. მთავარი და საინტერესი აქ იყო ის, რომ მონები ბედნიერები უნდა ყოფილიყვნენ თავისი მონობით! კითხვა: ვერ გავიგე, ბატონო შოთა! როგორ შეიძლება ადამიანი ბედნიერი იყოს მონობაშიც?! პასუხი: ახლავე გეტყვით. ფაშისტების სქემა ამგვარი იყო: არასულფასოვანი რასის წარმომადგენელი გაივლიდა ფსიქოქიმიურ დამუშავებას, რის შედაგადაც სრულად კარგავდა მეხსიერებას. ამის გამო მასთან ვერ აღწევდა გარედან ვერანაირი ინფორმაცია. — რისგან იტანჯება ადამიანი ყველაზე მეტად? ეკითხებოდნენ ფაშისტი იდეოლოგები საკუთარ თავს. —რა თქმა უნდა, შედარებისაგან! ვიღაც უკეთ ცხოვრობს, ვიღაც უფრო ნიჭიერია, ვიღაც უფრო მდიდარია, ვიღაც ძლევამოსილია. ამისგანაა ყველა უბედურება! მაშ, როგორ გავაბედნიეროთ მონა? უნდა მოვუსპოთ მას ბედნირების გრძნობა? ამიტომ საჭიროა გაიაროს ფსიქოლაბორატორიული დამუშავება, რის შემდეგ მას უწყვეტი სიხარული ელის! გაუხარდება, რომ თბილა, რომ ბალახი მწვანეა, რომ მზე ანათებს, რომ ზუსტად დღის ორ საათზე, ქვეყანა რომ დაინგრეს, იგი აუცილებლად მიიღებს სადილად თავის ნოყიერ სალაფავს, ღამით კი . . . და ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ბეჯითად იმუშავებს . . . ამასთან მას არ გააჩნია არავითარი სხვა მოთხოვნილება. არა აქვს არანაირი სრულფასოვნობის კომპლექსი. აი, ხომ არა აქვს ღორს არასრულფასოვნების კომპლექსი, რომ ის ღორია?! ანუ ფაშისტებს უნდოდათ, შეექმნათ ბიორობოტი, რომელიც არაფერზე ფიქრობს, ყოველთვის კმაყოფილია და მრავლდება, აწარმოებს თავისნაირ ადამიან-რობოტს . . . რასაკვირველია, ეს იყო სრული ბოდვა. მაგრამ მთელი სირთულე იმაშია, რომ ამგვარი სისაძაგლე არ დასამარდა ფაშისტურ გერმანიასთან ერთად!“ (გაზ. „საქართველო და მსოფლიო“, №17, 9-15 მაისი, 2012, გვ. 16).

ფაშიზმის პრაქტიკული მოქმედება კარგად ჩანს ფაშისტური გერმანიის გენერალურ გეგმაში, რომელსაც „ოსტი“ ეწოდებოდა. მასში, ბევრ სხვა საკითხთან ერთად, მოცემულია საბჭოთა კავშირის დაპყრობის შემდეგ ცალკე რეგიონების, მათ შორის კავკასიის სახელმწიფოებრივი მოწყობის, მისი მართვის და ხალხებს შორის ურთიერთობის პრობლემები.

ამ გეგმით უქმდებოდა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ფორმირებები და რეგიონების მიხედვით შეიქმნებოდა ფაშისტურ რეიხსზე დაქვემდებარებული კომისარიატები. კავკასიაში გერმანიის ადმინისტრაციის მეთაური უნდა ყოფილიყო „კავკასიის საიმედო მფარველი“, ან „კავკასიის საქმეთა ნაცვალი“. ყველგან, დაპყრობილ ქვეყნებში, მათ შორის კავკასიაში, საერთო სალაპარაკო ენა იქნებოდა გერმანული ენა. საბოლოოდ უნდა მომხდარიყო მათი გერმანიზაცია.

გრძნობდა რა საშინელებას, არა მარტო კავკასიელი და საბჭოთა ხალხი ერთ მუშტად შეიკრა, ფაშისტი ურდოები არამც თუ შემოუშვეს კავკასიაში, არამედ იქვე გაანადგურეს. თუ რა ბედი ეწია ფაშისტურ გერმანიას და პირადად ადოლფ ჰიტლერს მოსკოვთან, ლენინგრადთან, სტალინგრადთან, კურსკორიოლთან და ასე შემდეგ, ბერლინის ოპერაციის დროს საბჭოთა შეიარაღებული ძალებისა და მოკავშირეთა (აშშ, ინგლისი) არმიების მიერ, ისტორიულად ცნობილია.

„ოსტის“ გეგმის ფონზე რაგორ მეამიტურად ჟღერს ანტისტალინელების, განსაკუთრებით საქართველოში და ყველასათვის გასაკვირად ზოგიერთი ისტორიკოსისა და მწერლის მსჯელობა იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომი თითქოს რუსებსა და გერმანელებს შორის წარმოებული ომი იყო და ქართველებს მასში მონაწილეობა არ უნდა მიეღოთ. უნდა ვიცოდეთ კარგად, რომ გერმანიას არა მარტო რუსეთის, უკრაინისა და ბელორუსის დაპყრობა სურდა, არამედ, არანაკლებ თუ უფრო მეტად, კავკასიისა, როგორც ნავთობის, მარგანეცისა და სხვა ნედლეულის ბაზა და ახლო აღმოსავლეთში შეჭრის მოხერხებული ჭიშკარი.

სტალინმა ომის დროს აიძულა აშშ, ინგლისი და მოკავშირეებად გაიხადა ფაშიზმთან ბრძოლაში. მართალია, შეთანხმების თანახმად დროულად კი არა, უფრო გვიან გახსნეს მეორე ფრონტი ევროპაში, მაგრამ მან დიდი როლი შეასრულა, დააჩქარა ფაშიზმის განადგურება. ამის გარეშე კი საბჭოთა კავშირი მოიგებდა ომს, მაგრამ იგი გაგრძელდებოდა დიდხანს და მსხვერპლიც გაცილებით მეტი იქნებოდა.

სამი სახელმწიფოს (აშშ, დიდი ბრიტანეთი, სსრკ) ხელმძღვანელთა თეირანის (1943 წ.), იალტისა და პოსტდამის (1945 წ.) კონფერენციებმა დიდი როლი შეასრულეს არა მარტო მეორე მსოფლიო ომში ფაშიზმის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავებაში, არამედ გერმანიის ფაშიზმის განადგურების შემდეგ ომის შედეგების შეჯამებასა და ომის შემდგომ პერიოდში მსოფლიოში მშვიდობიანი ცხოვრების პირობების უზრუნველყოფასა და მისი გარანტიების შემუშავებაში.

ომის ისტორიის ფალსიფიცირება კი არა, ომის გაკვეთილების გათვალისწინება, ობიექტურად შესწავლა და ზნეობრივად გამოყენება, წინაპართა თაობების გაქილიკება ან უარყოფა კი არა, პირიქით, მათი დამსახურებისა და გამოცდილების წარმოჩენა, ღვაწლის დაფასება და გამოყენება უნდა იყოს დღევანდელი და მომავალი თაობების მოქმედების პროგრამა, თუ გვინდა თავიდან ავიცილოთ მსოფლიო ომები და ნგრევა-უბედურება და კარგად უნდა გვახსოვდეს სტალინის მოწოდება: მშვიდობა შენარჩუნებული და დაცული იქნება, თუ მშვიდობის საქმეს მსოფლიოს ადამიანები ხელში აიღებენ და იბრძოლებენ მისი განმტკიცებისათვის.

წარსულის უარყოფით, აწყმოს უნდობლობით, კარგი მომავალი არ შეიქმნება, რადგან საყოველთაოდ ცნობილია: „აწმყო შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავლისასა“ (ლაიბნიცი).

მსოფლიოს წამყვანმა სახელმწიფოებმა, პატარების მხარდაჭერით, ყველაფერი უნდა იღონონ იმისათვის, რომ დღევანდელი გლობალიზაციის პირობებში კაცობრიობამ იცხოვროს მშვიდობიანად, ყველა ერმა დაიმკვიდროს ადგილი უღრუბლო ცის ქვეშ. არ მიეცეს გასაქანი ჰეგემონიზმს, რომელიც ისევე საშიშია, როგორ ფაშიზმი. პლანეტის მართვისათვის ხომ არ აჯობებს ცალკეულ კონტინენტზე შეიქმნას კოლექტიური საკონტინენტო უმაღლესი ორგანო. ამასთან გაიზარდოს საერთაშორისო ორგანოს-გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, როგორც საერთაშორისო საკონტინენტთაშორისო მმართველობის უმაღლესი ორგანოს, სტატუსი და ფუნქციები. კაცობრიობამ ის კოლოსალური თანხები, რაც იხარჯება სამხედრო შეიარაღებისათვის, გამოიყენოს ადამიანთა კეთილდღეობისათვის და არამასობრივი მოსპობისათვის.

ოჰ, რა ბედნიერი იქნება საზოგადოება ასეთ პირობებში!

სერგო დუმბაძე

პროფესორი — ემერიტუსი

12 მაისი – ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღე

წმ. ანდრიას, პეტრე მოციქულის ძმას, უფალმა იესო ქრისტემ პირველს მოუწოდა, ამიტომ მას ეწოდა პირველწოდებული. წმიდა ანდრიამ სიყრმიდანვე შეიყვარა უფალი და როცა ისრაელში ქუხილივით გაისმა წმიდა იოანე ნათლისმცემლის ხმა, ნეტარი მოციქული მისი უახლოესი მოწაფე გახდა. მაცხოვრის გამოჩენისას, წმიდა იოანემ ანდრიას და იოანე ღვთისმეტყველს მიმართა: „აჰა, ტარიგი ღმრთისაჲ“. ამ სიტყვებზე ორივენი თან გაჰყვნენ იესოს. შემდეგ კი ანდრია ძმასთან, პეტრესთან მივიდა, მესიის პოვნა ახარა, ისიც იესოსთან მიიყვანა და მას დაუმოწაფა. ქრისტეს დამოწაფებული ძმები კვლავ ჩვეულ საქმიანობას განაგრძობდნენ და თევზაობით ირჩენდნენ თავს. ერთხელ გალილეის ზღვის ნაპირას მიმავალმა მაცხოვარმა მოუწოდა მას: „მოვედით და შემომიდეგით მე და გყვნე თქვენ მესათხევლე კაცთა“. რის შემდეგაც ისინი განუყრელად თან ახლდნენ ძე ღვთისას და მისი სასწაულების, სიკვდილისა და მკვდრეთით აღდგომის მოწმეებიც გახდნენ.

მაცხოვრის ამაღლების შემდეგ, რაჟამს წილ იგდეს მოციქულთა საქადაგებლად, ღვთისმშობელს ივერიის მოქცევა ხვდა წილად, მაგრამ, რადგან მისი მიცვალების ჟამი მოახლოებული იყო, ძე ღვთისამ უბრძანა, იერუსალიმში დარჩენილიყო, საქართველოში კი ანდრია პირველწოდებული გაეგზავნა თავისი ხელთუქმნელი ხატით. ყოვლადწმიდა ქალწულმა მოუწოდა წმიდანს და ღვთის ნება აუწყა, შემდეგ ფიცარი მოითხოვა, „დაიბანა პირი და დაიდვა პირსა ზედა თვისსა“. ფიცარზე ღვთისმშობელი გამოისახა ყრმა იესოთი. ეს სიწმიდე ზეციურმა დედოფალმა ანდრიას გადასცა და დიდ ღვაწლს შემდგარი, აკურთხა. წმიდა ანდრიამ გაიარა საბერძნეთი, მცირე აზია, შემდეგ კი შავიზღვისპირეთს მიაშურა, „შევიდა ქუეყანასა ქართლისასა, რომელსა დიდაჭარა ეწოდების“.

სოფელ დიდაჭარაში დღემდეა შემონახული ტაძრის ნანგრევები, რომელიც, გადმოცემით, თავად წმიდა ანდრია პირველწოდებულს აუშენებია.

ნეტარს მრავალი განსაცდელი დაატყდა თავს ურწმუნოთაგან, მაგრამ ღვთისა და პატიოსანი ხატის მეოხებით ყველაფერი მადლობით დაითმინა, „ვიდრემდის ყოველნივე მოაქცივნა და მოიყვანა სარწმუნოებად“. იმ ადგილას, სადაც მოციქულმა ღვთისმშობლის ხატი დაასვენა, ფრიად შუენიერი და დიდი წყარო აღმოცენდა. ამ სასწაულმა მრავალ წარმართს გაუნათა გონება და შეუდგნენ ქრისტეს მაცხოვნებელ სწავლებას. მოციქულმა ახალმოქცეულთ დაუდგინა მღვდლები და დიაკვნები. „დაუდგინა წესი და საზღვარი სარწმუნოებისა“, აუგო ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ტაძარი, სადაც ფიცარზე ზეციური დედოფლის ნაბოძები ხატიდან სასწაულებრივ გადასული ასლი დააბრძანა. ამის შემდეგ უფლის რჩეულმა გადაიარა ფერსათის მთა და აქ ჯვარი აღმართა (სწორედ ამის გამო ეწოდა ამ მთას „რკინის ჯვარი“). მოციქული შემდეგ სოფელ აწყურში მივიდა, რომელიც ადრე სოსანგეთად იწოდებოდა. ამ დროს ამ მხარის გამგებელი იყო ქვრივი სამძივარი, რომელსაც ერთადერთი ვაჟი ჰყავდა. სწორედ ამ დროს მას შვილი მოჰკვდომოდა. ქვრივს შეატყობინეს, რომ იქ იყო ერთი ადამიანი, რომელიც უცნობ ღმერთზე ლოცულობდა. ამ ცნობამ მას გულში იმედი ჩაუსახა და მოციქული თავისთან იხმო. წმიდა ანდრიამ ქვრივი დედაკაცის ერთადერთი ძე მკვდრეთით აღადგინა. გახარებულმა ქალმა მადლობით ირწმუნა უფალი იესო ქრისტე, თავის შვილთან ერთად მოინათლა და სამცხის მთავრებს წერილი მისწერა, ამ ამბავს ატყობინებდა და ყველას თავისთან იხმობდა. „ვითარცა ესმა მესხთა ამბავი ესე საკვირველი, მსწრაფლ შეკრბეს ყოვლით კერძო და იქმნა სიმრავლე ერისა ფრიადი“. მოვიდნენ საკერპოს მსახურნიც. ხალხი ორად გაიყო; ნაწილი იძახდა, „ჯერ არს თაყუანის-ცემად, რომელმა ესე ვითარი სასწაული აღასრულა“, სხვები კი კვლავ ცრუ ღმერთების ერთგულნი რჩებოდნენ. ცილობა რომ ჩაეცხროთ, გადაწყვიტეს, საკერპოში ღვთისმშობლის ხატი შეებრძანებინათ, შემდეგ კი კარი დაეხშოთ. მაცხოვრის მსასოებლებს - ქრისტეს მიმართ, კერპთმსახურებს კი - თავიანთი ღვთაებისადმი უნდა ელოცათ. დახშულ ტაძართან მცველები დააყენეს. დილით, როცა კარი გააღეს, ყველამ იხილა „კერპები ქუეყანად დათხეულნი და სახედ მტუერისა შემუსრვილნი, ხოლო ხატი ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისა ბრწყინვიდა, ვითარცა მზე, დიდებითა და პატივითა“. წმიდა ანდრიამ აწყურში მოაწყო ეკლესია და მცირე ეკვდერში ღვთისმშობლის ხელთუქმნელი ხატი დაასვენა, შემდეგ კი ახალმოქცეულ სამწყოს განეშორა და გზა განაგრძო: იყო კლარჯეთში, არტაანკოლაში, პართეთში, სომხეთში, შემდეგ კი იერუსალიმში წავიდა.

იერუსალიმთან ანდრია სვიმონ კანანელთან და მატათასთან ერთად ისევ საქართველოში დაბრუნდა. ისინი ქართლში შევიდნენ, განამტკიცეს ქრისტიანობა და „დაჰყვნენ დასავლეთით, განვლეს ტაოს კერძო ქვეყანა ვიდრე ჭოროხამდე“, იყვნენ სამეგრელოსა და სვანეთში. სვიმონი და ანდრია აფხაზეთში წავიდნენ „ხოლო დიდი ანდრეა სვიმონითურთ... შევიდეს ქუეყანასა აფხაზეთისასა და უქადაგეს სიტყუა იგი ღუთის-მეცნიერებისა და მრავალთა სიხარულით შეიწყნარეს ქადაგება იგი და მუნ დაუტევა ნეტარმან ანდრეა სვიმონ კანანელი სხვათა თანა მოწაფეთა და თავად ჯიქეთისა ქუეყანად ავიდა“. ჯიქეთის მკვიდრმა მოსახლეობამ არა მარტო უარი განაცხადა მისი ქადაგების მიღებაზე, არამედ მოციქულის მოკვლაც კი გადაწყვიტა. მათი სიჯიუტე და უხეში გონება რომ დაინახა, მოციქულმა მიატოვა ისინი და წავიდა. წმიდა ანდრია მოციქული სკვითთა ქვეყანაში, დღევანდელ რუსეთშიც ყოფილა. მდინარე დნეპრს აჰყოლია იმ ადგილამდე, სადაც ამჟამად ქალაქი კიევი მდებარეობს.

უკანასკნელი ქალაქი, სადაც მოციქულმა იქადაგა, პატრა (საბერძნეთი) იყო, წმიდანის ლოცვით ამ ქალაქში უამრავი ადამიანი მოექცა ქრისტეს სჯულზე, მაგრამ ქალაქის თავი ეგაეტი კვლავ ერთგული რჩებოდა ცრუ ღვთაებისა. უღმრთო ხელისუფალმა ბრძანა, ჯვარს ეცვათ უფლის რჩეული. წმიდანი სიხარულით შეხვდა განაჩენს და თავისით ავიდა ჯვარზე. ტანჯვა რომ გაეხანგრძლივებინა, ეგაეტმა ბრძანა, ძელზე კი არ მიელურსმნათ, არამედ დაეკიდათ ნეტარი. წმიდა მოციქული ორი დღე ქადაგებდა ირგვლივ შეკრებილთა წინაშე. ბოლოს, წმიდანის მადლმოსილი სიტყვებით შეძრულმა ხალხმა მოითხოვა, ჯვრიდან ჩამოეხსნათ იგი. უღმრთო ეგაეტმა განკარგულება გასცა, გაეთავისუფლებინათ წმიდანი, მაგრამ ანდრიამ მხურვალედ შესთხოვა უფალს, ჯვარზე აღსრულების ღირსი გაეხადა. მეომრები დიდხანს ამაოდ ცდილობდნენ მის ჩამოხსნას. წმიდანმა „აღიხილნა თუალნი ზეცად და მადლობა შესწირა უფალს და აკურთხნა მორწმუნენი იგი ჯუარსა დამოკიდებულმან“. და ასე, ღვთისადმი მადლობით აღესრულა წმიდანი. ქალაქის მმართველის ცოლმა მოციქულის ცხედარი ჯვრიდან ჩამოხსნა და პატივით მიაბარა მიწას. რამდენიმე საუკუნის შემდეგ კონსტანტინე დიდი ზეობისას წმიდა მოციქულის უხრწნელი ნაწილები პატივით დაასვენეს კონსტანტინეპოლში და წმიდა მოციქულთა ტაძარში დააბრძანეს ლუკა მახარებლისა და ტიმოთე მოციქულის ნაწილთა გვერდით.

ხშირად, ჩვენი ისტორიის ავბედითობის გამო, ჩვენი ეკლესიის სამოციქულო წარმომავლობა ეჭვქვეშ დგებოდა. ამის დასტურია წმიდა გიორგი მთაწმიდელის ცხოვრებაში აღწერილი ერთ-ერთი ეპიზოდი, სადაც წმიდა გიორგი ანტიოქიის პატრიარქის წინაშე შემდეგი სიტყვებით იცავდა საქართველოს ეკლესიის თვითმყოფადობას: „წმიდაო მეუფეო, შენ იტყვი, თავისა მის მოციქულთაჲსა პეტრეს საყდარზე ვზიო. ხოლო ჩუენ პირველწოდებულისა და ძმისა თვისისა მწოდებელისა ნაწილნი ვართ და სამწყსონი და მის მიერ მოქცეულნი და განათლებულნი. და ერთი წმიდათა ათორმეტთა მოციქულთაგანი - სვიმეონს ვიტყვი კანანელსა - ქუეყანასა ჩუენსა დამარხულ არს აფხაზეთს, რომელსა ნიკოფსი ეწოდების. ამათ წმიდათა მოციქულთა განათლებულნი ვართ. და ვინაჲთგან ერთი ღმერთი გვიცნობიეს, არღარა უარგვიყოფიეს. და არცა ოდეს წუალებისა მიმართ მიდრეკილ არს ნათესავი ჩუენი, და ყოველთა უარისმყოფელთა და მწუალებელთა შევაჩუენებთ და დავსწყევთ. ამას საფუძველსა ზედა მართლმადიდებლობისასა და მცნებათა და ქადაგებათა ზედა წმიდათა მათ მოციქულთასა მტკიცე ვართ“.

შევთხოვოთ ჩვენს შემწესა და მფარველს წმიდა ანდრიას:

წმიდაო მოციქულო, მოციქულთა უპირატეს წოდებულო ანდრია, ევედრე ღმერთსა ჩვენთვის, რათა სოფელსა მშვიდობა მოანიჭოს და სულთა ჩვენთა დიდი წყალობა!

14 ᲗᲐᲛᲐᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲗᲐᲗᲕᲐᲠᲘᲦᲑᲐ

თამარ!

რა ტკბილ არიან სასასა ჩემსა სიტყვანი ჩემნი — ოდეს კრძალვით ვახსენებ შენს გვირგვინოსანს სახელს, ჲ თამარ!

გაზაფხულს ესწორე და ვარდებში განეწესე, ყირიმზის იაგუნდის გადიმებით სამშობლო გამინათე!..

შენი სახე — საქართველოს სანთელია, თვალმშვენიერო!

ვაი მე! ვაი მე! საქართველოსთვის მხიარული დღე ვერ მიპოვია; შენც უდაბნოს ვარსკვლავივით გაიელვე ლურჯ უფსკრულში და ვგოდებთ, რომ კვლავ ვერ შევესწრებით სხივთა დღესასწაულს...

ჩვენ ვიცით, რომ ორჯერ ვარსკვლავი არ გაგვინათებს! — და კვლავ შეგნატრით, გაუმეორებელო მზევ; გაზაფხულის ღელის ყვავილო!

აჰა, სამშობლო ჩემი, როგორც ანგელოსი სუსტ-ფრთებიანი, უიმედოდ აწყდება წყვდიადს, მაგრამ შენი შორეული სახე თეთრვარდიან ბრწყინვალებით უნათებს აღთქმულს გზა ბილიკს!

მოუვალ გზისკენ წასულან სამშობლოს ვარსკვლავები; ბრწყინვა და შარავანდედი შეახუნდა საქართველოს მზეს.... არ გაიშალა ჩვენთვის სხივთა მარაო და დღეს მტრის მშვილდოსნისგან დაკოდილი ქართლოსიანი სასოებით მხოლოდ შენ შემოგძახის: თამარ! ჲ თამარ!..

— ჰყვავის და სჭკნება საუკუნე; ჰყვავის მწუხრი და განთიადი, ხოლო სახე შენი ჰგიებს, დაუმჭკნარი, ღიმილის ელვით ოქროცურვილი...

საუკუნეთა ბინდში, მხოლოდ შენ გპოვა ერის სალამურმა, მხოლოდ შენ მოგკრა თვალი საქართველოს დედამ!.. და გიხმობთ შველად თამარ! ჲ თამარ!

ივერია იავარ იქმნა!

მეც ძაძით შევმოსე გული; მე ღამის სიჩუმე ვარ — ღამეში ჩამარხული და სიჩუმით ვახსენებ შენს სახელს. მე არ მაგიჟებს დროშების ჟღრიალი და შენი სახელის ხსენება საგმირო სიმღერაში, მე მხოლოდ გლოცულობ შენ!..

მთვარის ნაპერწკლებით და ოქროს ძაფებით შენს მზიურს სახეს შავ ნისლებში ვქარგავ, ჲ თამარ!

მე მიხარიან, რომ საქართველო შენის სახელით შეიმოსა; მე მიხარიან, რომ შენ ედედოფლე მას უკვდავი მშვენიერება და სიხარული! — და კვლავ თაყვანსა გცემ, თამარ! შენით ჰსუნთქავს საქართველო!

გულს ვეღარ შემიზარავს ჩემს წინაშე აღმართული შავი აჩრდილი სიკვდილისა; უკვდავია ერი ჩემი, სანამ უკვდავობს თვალშეუდგამი შენი სახე,

უკვდავია, რადგანაც შენით უჭკნობ მშვენიერებას ეზიარა

ჲ თამარ!

გ. ლეონიძე

გაზ. საქართველო 1917 წ.

ნაჩუქარი წიგნები

ბიბლიოთეკას საჩუქრად გადმოეცა ეკონომიკური პოლიტიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტის პროფესორების დავით და გულიკო ქათამაძეების სახელმძღვანელო „საერთაშორისო ტურიზმი“. ნაშრომი შედგება სამი ნაწილისაგან.

I ნაწილში განხილულია საერთაშორისო ტურიზმის თეორიულ-მეთ-



ოდოლოგიური საფუძვლები, მისი განვითარების ისტორიული ასპექტი, თანამედროვე მდგომარეობა და სტრატეგიული მიმართულებანი. ამავე ნაწილში გაანალიზებულია სამამულო ეკონომიკის განვითარებაზე საერთაშორისო ტურიზმის ზემოქმედება, საერთაშორისო ტურიზმის ინფრასტრუქტურა, საერთაშორისო ტურიზმის სამართლებრივი უზრუნველყოფა, საერთაშორისო ტურიზმის როლი მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში.

II ნაწილში შესწავლილია მსოფლიოს ტურისტული რესურსების გეოგრაფია, სადაც გამოკვლეულია ტურისტული ქვეყანათმცოდნეობის თეორიული საფუძვლები, საერთაშორისო ტურიზმის განვითარების შესაძლებლობები ევროპაში, ამერიკაში, აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის, ახლო აღმოსავლეთის რეგიონის, სამხრეთ აზიის ტურისტული პოტენციალი, საერთაშორისო ტურიზმის განვითარების თავისებურებანი აფრიკის ქვეყნებში. ამავე ნაწილში გაანალიზებულია სხვადასხვა ქვეყნის ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები და ბუნებრივ-კლიმატური პირობები, მათი ტურისტული ინფრა სტრუქტურა და ისტორიულ-კულტურული ძეგლები.

III ნაწილში დასახულია საერთაშორისო ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში, საერთაშორისო ტურიზმში ჩვენი ქვეყნის ინტეგრირების პერ სპექტივები. აქვე შესწავლილია საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები, დახასიათებულია საერთაშორისო ტურიზმის განვითარების მდგომარეობა საქართველოში, გამოვლენილია საერთაშორისო ტურიზმში საქართველოს ინტეგრირების პრობლემები და დასახულია მათი, ქვეყნის ეროვნული ინტერესების შესაბამისად, გადაჭრის გზები. სახელმძღვანელო განკუთვნილია ტურიზმის სპეციალობის სტუდენტებისათვის, საერთაშორისო ტურიზმის საკითხებით დაინტერესებული ფართო საზოგადოებისათვის.

წიგნი რეკომენდებულია სახელმძღვანელოდ შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის ფაკულტეტის საბჭოს მიერ (ოქმი№11. 30. 01. 2012)

****

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ცნობილმა მკვლევარმა, პროფესორმა რეზო უზუნაძემ ბიბლიოთეკას საჩუქრად გადმოსცა მისი ორი ახალგამოცემული წიგნი: „ერგეს ქვეყანა“ და „ქრისტიანობა ერგეში“. ავტორს მდიდარი ფაქტობრივი მასალის საფუძველზე შესწავლილი აქვს ერგეს თემში უძველესი დროიდან დღემდე მოსახლე გვარების ეტიმოლოგია. გვარები დალაგებულია სიძველე-მკვიდრობის მიხედვით. მოგეხსენებათ, გვარის წარმომავლობის დადგენა დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული. ხშირად გვარის არასწორი ეტიმოლოგიური განსაზღვრება იწვევს ეთნიკური ხასიათის შეცდომებს. ამიტომაც იგი მკვლევარისგან მოითხოვს მრავალმხრივ ცოდნას. ბატონი რევაზი მრავალმხრივი შრომის საფუძველზე მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის ანთროპონომიის, სოფლის ისტორიის, კულტურის შესახებ. ნაშრომი პოპულარულ ენაზეა დაწერილი და საინტერესოდ იკითხება. მასში საყურადღებო ისტორიული ფოტო-დოკუმენტური მასალაა წარმოჩენილი. ისტორიკოსის ენა, მისი მსოფლმხედველობა, ტბეთის სულთა მატიანეს საფუძველზეა აგებული. ეს რეგიონი მრავლად ცნობილი ყოფილა ქრისტიანობის ეპოქაში, რასაც ადასტურებს ავტორის მიერ ნაშრომში აღწერილი არაერთი ისტორიული ფაქტი და მოვლენა.

უძველესი დროიდან დღემდე ეს კუთხე გამოირჩევა სტუმართმოყვარეობით. როგორც თედო სახოკია აღნიშ-



ნავდა, ერგეში მგზავრებითვის გამოაქვთ კალანჩხებით ლეღვი, ადესის ყურძნის აკიდოები. მევენახეობა შეადგენს მათი ცხოვრების სახსარს. ვახუშტის ცნობით, ერგეს ღვინო კეთილი, მსუბუქი და შემრგო, გემოიან-სუნიანი უძველესი დროიდან იყო განთქმული. ერგეს მაღლობებიდან თვალწარმტაცად მოჩანს ფირუზი შავი ზღვა და ხელის გულივით გადაშლილი კახაბრის ველი.

ავტორს ერგეში მოსახლე გვარები წარმოჩენილი ჰყავს სამეურნეო ნიშნის მიხედვით. ესა თუ ის გვარები გამოირჩევა ლითონის წარმოებით, მეთუნუქეობით თუ მებაღეობა-მევენახეობით.

პროფესორ რევაზ უზუნაძის ორივე წიგნი ერგეს შესახებ საყურადღებო გამოკვლევაა ქართულ ისტორიოგრაფიაში და იგი უთუოდ დააინტერესებს მკითხველს.

****

ბატონმა რეზო დიასამიძემ ბიბლიოთეკას საჩუქრად გადმოსცა მის მიერ თარგმნილი სახელმძღვანელო



წიგნი „ეკოლოგია“. თარგმანი დიდი ინატერესით იკითხება, რასაც ხელს უწყობს მთარგმნელის მდიდარი სიტყვათა მარაგი და გადმოცემის ოსტატობა. ბატონი რეზოს მიერ თარგმნილი წიგნი გააღმავებს სტუდენტის ცოდნას ეკოლოგიაში.

ვიმედოვნებთ, რომ მკითხველი საზოგადოება ქართულ ენაზე თარგმნილ წიგნს დიდი ინტერესით გაეცნობა.

****

ბიბლიოთეკას საჩუქრად გადმოეცა პროფესორების აბელ სურგულაძის, სერგო ტაბაღუას და სერგო დუმბაძის ავტორობით გამოცემული წიგნი „აჭარა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში (1939-1945წწ.)“. მკვლევრებმა თავიანთი ცხოვრების უმეტესი დრო მსოფლიო ომის კვლევის საკითხებს მიუძღვნეს. ეს არ იყო მათთვის უბრალო გატაცება. ავტორებმა მეორე მსოფლიო ომში ქართველთა მონაწილეობის საკითხს არაერთი წიგნი, სტატია თუ წერილი მიუძღვნეს. უფრო მეტიც, ეს პრობლემა მათი სადოქტორო დისერტაციის მთავარ თემას წარმოადგენდა. ნაშრომში ძირითადად გამოყენებულია საქართველოსა და რუსეთის არქივებში დაცული დოკუმენტური მასალა. არასწორად მიგვაჩნია დავა და კამათი იმ საკითხზე თუ რა სახელით მოვიხსენიოთ ეს ომი. რა თქმა უნდა მსოფლიო ომი იყო, რომელშიც თითქმის ყველა ქვეყანა ღებულობდა მონაწილეობას იმისგან განსხვავებით, რომ ვინც საკუთარ მამულს იცავდა, მათთვის ეს სამართლიანი ომი იყო, ხოლო იმათთვის, ვინც ოსვენციმის და მაიდანეკის კრემატორიუმებს ქმნიდა, უსამართლო. ი. ბ. სტალინი ბერძენი კორესპონდენტის კესიდის შეკითხვაზე — თუ რამ განაპირობა ფაშიზმის დამარცხება მეორე მსოფლიო ომში, მოკლედ პასუხობს, რომ ძირითადი მიზეზი ადამიანების მიმართ ჩადენილი უმკაცრესი დანაშაულია. სერგო ზაქარიაძის ჯარისკაცის მამა ყველა ამ უმსგავსოების წინააღმდეგ მებრძოლი ღვთაებაა, ხოლო ყუმბარებით დაფლეთილ მიწაში გახარებული ვენახი კი გამარჯვების, სიცოცხლის, ნაყოფიერების სიმბოლო.

წიგნის შესავალში ავტორები აღნიშნავენ, რომ საქართველოს ისტორიის მერვე ტომში გადმოცემული მსოფლიო ომის საკითხები გადასასინჯია, რადგან ისინი ძირითადად გაშუქებულია კომუნისტური იდეოლოგიის საფუძველზე. საბჭოთა პერიოდში გამოცემული ნაწარმოებების უმეტესი ნაწილის მეთოდოლოგიურ საფუძველს მარქსიზმ-ლენინიზმი წარმოადგენდა. ეს აღიარებული მეთოდი იყო და ამის გარეშე ცენზორი წიგნს ვერ დაბეჭდავდა.

აჭარიდან ომში წასული ადამიანების ცხოვრება მისაბაძი უნდა იყოს ყოველი ახალგაზრდისთვის. 522 ქართველი დაეცა ჰოლანდიაში, კუნძულ ტექსელზე. ისინი ძმათა სასაფლაოზე განისვენებენ, რომელსაც მაღალ სვეტზე აღმართული გამარჯვების სიმბოლო ამშვენებს. რუსეთში სოფელ კუპუიში სისხლისმღვრელ ბრძოლების შედეგად 1200 მეომარი დაიღუპა, რომელთა შორის 18 ქართველი გმირის სახელი ოქროს ასოებითაა ამოტვიფრული ამავე სოფელში აღმართულ 12 მეტრის სიმაღლის სვეტზე.

ავტორთაგან ერთადერთი სერგი ტაბაღუა თვით არის ომის მონაწილე. მან ბრძოლით განვლო ყირიმი, ქერჩი, სიმფეროპოლი, ვიტებსკი, პოლონეთი-პოზნანი, გერმანია-ოდერკიუსტინი. იგი მსახურობდა 734 საარტილერიო პოლკში. ბატონი სერგო ნაშრომში ერთგან აღნიშნავს, რომ მისთვის მეტად ძნელია იმ ქარცეცხლიან დღეთა გახსენება, მით უმეტეს უფრო ძნელი



და უხერხულიც დაღუპულთა გვერდით თავის თავზე ფიქრი, მტრის ტყვიით განგმირული თანამებრძოლი ბიჭების დასახიჩრებული სახეების გახსენება.

კარგი იქნებოდა წიგნში წარმოდგენილიყო ფოტო-დოკუმენტური მასალა. წიგნში სამივე ავტორის მიერ წარმოდგენილი ისტორიული მასალა კარგად შეერწყმის ერთმანეთს და დიდებულად წარმოაჩენს მეორე მსოფლიო ომში ქართველთა გმირულ თავგადასავალს.

გვერდი მოამზადა

მერაბ მეგრელიშვილმა

ნომრის
რედაქტორი:
ნესტან მამუჭაძე

სარედაქციო კოლეგია:
იური ბიბილეიშვილი
ბიჭიკო დიასამიძე
მამია ფაღავა
ნანა ცეცხლაძე
მერაბ მეგრელიშვილი

გაზეთი დაიბეჭდა
სს „პოლიგრაფისტში“
27-59-10, 27-59-11
მის.: ქ. ბათუმი,
გორგილაძის 91